

სანიკიძე ეკა

მაიკო

პიესა ორ მოქმედებად

დრო - 1837 წ და 1892 წწ.

მოქმედი პირნი:

მაიკო ორბელიანი

ლევან მელიქიშვილი

ნიკოლოზ I – რუსეთის იმპერატორი

ტატო (ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ივანე უფროსი- მაიკოს და ლევანი ვაჟი

ივანე უმცროსი -ლევანის შვილიშვილი

ალექსანდრა ორბელიანი- ლევანის მეუღლე

თავადები, თავადის ქალები, მეჯლისის მონაწილეები

სცენა 1.1

1892 წელი

ეტლში ზის ლევანი და უზის შვილიშვილი, რომელიც კითხულობს შესაქმედან:

- დაადინა ღმერთმა ადამი, ამოუღო ნეკნი და შექმნა ევა.. - ჩერდება, აწევს თავს

-ეს როგორ, ბაბუ? გაუჭრა ხორცი და ნეკნი ამოაცალა? ნეკნი ქალად როგორ აქცია? რა-ტოო?

ლევანს ეღიმება, თავისთან უხმოვს, კალთაში ისვამს, თავზე ეფერება და ესაუბრება

-ეს ხომ უკვე ვისწავლეთ, ბაბუ, რომ ადამი ღმერთმა თიხისგან შექმნა. როგორ? სულის ჩადგმით, სასწაულებრივად! ის ხომ ღმერთია, ყოვლისშემძლე! და ნეკნისგან ხომ კიდევ უფრო ადვილი იქნებოდა - სხეულის ნაწილისგან-სხეული!! და შექმნა იმიტომ, რომ მოიწყინაო ადამმა მარტოო. ხომ წაიკითხე? მარტო რომ არ ყოფილიყო, ბაბუ! მეგობარი, მზრუნველი, თანამოაზრე ხომ ჰყოლოდა.. შენ ხომ გყავს მეგობრები? შექმნა იმიტომ, რომ ადამს ცოლი ჰყოლოდა, იმათ კიდევ -შვილები და ასე, გამრავლებულიყვნენ ადამიანები..

- უი, ცოლები ქმრების ნეკნები არიან ბაბუ? ბებო შენი ნეკნიდანაა?- ხელს შეავლებს გვერდზე, თითქოს უნდა, მოსინჯოს, სად აკლია ლევანს ნეკნი.

- მე არ მინდა ნეკნის ამოღება, ბაბუ! -წამოხტება ბიჭი

- რატომ ნეკნიდან, როცა აგერაა ელისაბედი! მე რომ გავიზრდები, ელისაბედი მინდა, მოვიყვანო ცოლად! -აღელვდება ბავშვი, ბაბუ იცინის, დაუყვავებს ეფერება

-ნუ გეშინია, ბაბუ. ეს მხოლოდ ადამის და ევას ისტორიაა, სიმბოლოა.. შენ ნეკნს არავინ ამოგაჭრის))

ამ დროს ძიძაც შემოდის და ბავშვი გაჰყავს - „მასწავლებელი მოვიდა“

1.2

სცენაზე კი შუქი იცვლება და ლევანის მოგონებები იწყება:

ტატო და ლევანი გიმნაზიიდან გამოდიან, ხელგადახვეულები, ტატო ლექსს კითხულობს- (სატირას), იცინიან, ლევანი ამბობს:

- აი, მოიცა, მე გავხდები გენერალი და ამისთანებს ნახე, რას ვუზამ!

ტატო აჟიტირებულია, უხარია რომ ლევანთან კარგი ურთიერთობა აქვს

-ლევან, ჩემო ლევან, რა კარგია, რომ ჩვენ ერთ კლასში ვართ და ჩემი გესმის. შენ რომ არა, ისეთში გადაიზრდებოდა ჩემი კამათი რიჟოვთან, რო... გიმნაზიიდანაც მომისროდნენ, აუცილებლად! - იცინიან

-მისმინე-შედეგა უცებ ტატო და სერიოზული, გულწრფელი ხმით ეუბნება:

- სადილია დღეს ჩვენთან, ჩემი ბიძები და ბიძაშვილები მოვლენ, წამო ჩემთან, რა, წამო...

ლევანი სიყვარულით შეხედავს, თხოვნა ისეთი გულიანია, რომ ერთი გაიხედავს საპირისპირო მხარეს, იცის წასასვლელია, მაგრამ აღარ იწყებს ყოყმანს, პირდაპირ თანხმდება:

-კარგი, წავიდეთ!

გადიან

1.3.

მუსიკა. შუქი. ნახევარ სცენაზე, უკანა პლანზე - გამოპრანჭული უფროსები, საუბრობენ, იცინიან, კამათობენ.. ცალკეული ფრაზები ისმის..სხედან ზურგით მაყურებლისაგან სკამებზე, ჭურჭლის ხმა, შედი-გამოდის მოსამსახურე

ამ ფონზე - ცალკე, წინა პლანზე ერთმანეთს ეცნობიან ლევანი და მაიკო. მალე სხვა ადამიანები, ხმები მიღმა რჩება, შუქი მხოლოდ ამათ იჭერს და მათი დამეგობრების და შეყვარების ისტორია გამოხატულია უტექსტოდ, მუსიკის ფონზე-ერთმანეთს ცვლის 2-3 წამიანი სცენები: ხელჩაკიდებული სეირნობა, „სკამეიკაზე“ ჩამოჯდომა, ტატოსთან ერთად მოლზე ჯდომა, ტატო ხელგაშვერილი უკითხავს ლექსს, ესენი იცინიან, საქანელაზე ქანაობა.. იკარგებიან წამით სიბნელეში და მთავრდება ისევ ახლო „კადრით“ უკვე წამოზრდილებზე,

როცა ლევანი თეთრებში ჩამულ, ფერიასავით მაიკოს დაცურებულ მანდილს მიაწოდებს, მიიზიდავს და ჩაიხუტებს - მაიკო, ჩემო მაიკო, ჩემო ვარდო!

სცენა 1.4

ლევანის ოთახი. მეუღლე შემოდის

-მოდო, გაგიყვანო, ლევან, მზადაა სადილი! აი, შენი მუნდირიც გავამზადე - ხელში უჭირავს თავისი „ჩინ-მენდლებით“.

ლევანი, რომელიც თითქოს ჯერ მზად იყო სადილზე გასასვლელად, უცებ მოეშვება, მუნდირს შეხედავს, მერე გაწევს და თავს იქნევს

-უჩემოდ ისადილეთ, გეთაყვა. არ მინდა, არ შემძლია. ცოტა შეუძლოდ ვარ..

-უშენოდ?! როგორ? რას ამბობ, ლევან?! დღეს ხომ გიორგობაა! ეს ხომ ჩვენი ოჯახური ყოველწლიური სადილია! შენ მუდამ ამ მუნდირით ხვდებოდი!- შეხედავს დაკვირვებით

- რა გჭირს, ცუდად ხარ? ვახმოზინო ექიმი? -ეკითხება ზრუნვით

ლევანი თავს იქნევს, ხელებს ასავსავებს, და ნაზად, მოფერებით იშორებს ცოლს

- არა, არა, გადი, გთხოვ და მიხედე სტუმრებს. ცოტა გვიან შემოგიერთდებით, თუ შევძელი.. ბოდიში მომხადე -უღიმის, ხელს კოცნის

ცოლი უკან იხევს, თან აკვირდება, არ უნდა მარტო გასვლა, ლევანი ხელს აუქნევს, გადიო, გაუღმებს, თავს დაუქნევს. ცოლი გადის.

1.5

მაიკოს ოთახი. მაიკო დივანზეა ჩამომჯდარი, ხელში კრებული უჭირავს და კითხულობს, თან ხშირ-ხშირად გვერდზე დადებულ ფოტოს დახედავს, ხან გულზე მიიკრავს, ხან ისევ გადადებს. მოახლე შემოდის

-ქალბატონო, თქვენთან...სიტყვის დასრულებას ვერ ასწრებს, ისე შემოიჭრება ლევანი, მაიკოს ფეხებთან გაჩნდება, ხელებს უკოცნის. ისიც, უზომოდ გახარებული და ბედნიერი, ნაზად გადაუსვამს თავზე ხელს.

-მაიკო, ჩემო მაიკო, რომ იცოდე, რა ბედნიერია შენი ლევანი!! როგორც იქნა, გადაწყდა ჩემი ამბავი, დამნიშნეს კავკასიელ მთიელთა ექსპედიციების უფროსად, მაიკო!! -ამ სიტყვებით დგება, ოთახში სიარულს იწყებს, იხსნის მუნდირს, უკან გადაიწევს, საყელოს იღევს - ეს მხოლოდ თანამდებობა და ჩინი არ არის, მაიკო! ეს დაწინაურებაა, ეს გზის დასაწყისია, ეს მთელი ოლქია, ჯარები, კავკასიის არმიის მთავარსარდალთან ურთიერთობაა!! გესმის, ეს რას ნიშნავს, გესმის, მაიკო?? -ისევ მიეჭრება ცოტათი შეცბუნებულ ქალს.

მაიკო იღიმის, თავს უქნევს, ოთახში მართლა ცხელა და ის ფანჯრებს აღებს, მოახლეს გასმახებს, რომელსაც წყალი, ცივი სასმისი და ხილი შემოაქვს, მაგიდაზე აწყობს.

ლევანი ჯერ ვერც ამჩნევს ამას, ოთახში ბოლთას სცემს, იხდის მუნდირს და სკამზე კიდებს, და მხოლოდ ახლა დაინახავს ცივ სასმელს, დაისხამს, დალევს, ჯდება მაგიდასთან

გვერდულად, თითქოს გასაქცევად მომზადებული, და სადრაც მიღმა მზერამიპყრობილი, აგრძელებს საუბარს, თითქოს უფრო საკუთარ თავთან, ვიდრე მაიკოსთან:

-რამდენიმე წელი იქ ვიმსახურებ, საქმე ბევრია, ექსპედიციები მრავლად იქნება, ჯარის ნაწილებს უნდა ვუხელმძღვანელო. ომშიც მომიწევს წასვლა, ალბათ. გესმის?-უცებ შეფხიზლდება და გახედავს მაიკოს, რომელიც დაჟინებით, მაგრამ ალტაცების გარეშე უყურებს, თავისას ფიქრობს.

-არა, არაფერიც არ გესმის, შენ! -ასკვნის ლევანი და აგრძელებს:

-მხედართმათავრობა, გენერლობა, უმაღლეს ემელონებში შეღწევადამსახურების გარეშე სამხედრო კარიერა არ ეწყობა, არა! სამხედრო საქმე კი ჩემი ცხოვრებაა, ჩემი! ამის გარეშე ვერც წარმომიდგენია არსებობა!

მაიკოც ასევე ირიბად ჯდება მაგიდის კიდესთან, პირით ლევანისკენ. ხელებს კალთაზე იწყობს და თითქოს მშვიდად უსმენს, მაგრამ, ოდნავ შემკრთალი და მობუზული ჩანს.

ლევანი ისევ სადღაც იყურება, თავის მომავალში, მაიკოს ემოციებს თვალს არ ადევნებს და ხვალინდელ გეგმებზე აგრძელებს საუბარს:

- ხვალ ადრიანად უნდა გავემგზავრო, აქ შემორბენას ვეღარ შევძლებ, დღეს ამიტომ მოვედი, რომ დაგემშვიდობო. კიდევ რამდენიმე ადგილას უნდა შევირბინო, ქალაქების საქმეც მოვასრულო.

მაიკო კიდევ უფრო ახლო მიწევს სკამს, ლევანი ისევ დაისხმას ცივ წყალს, ხელს ყელზე მოისვამს, დალევს, ჭიქას დადგამს

- ჯერ თელავში ჩავალთ, ღამე იქ დავრჩებით, ადრიანად კი პირდაპირ ბელაქანში და მერე იწყება, რაც იწყება! დავალებული გვაქვს სულ მალე იქაურობა საუკეთესო სამხედრო ოლქად ვაქციო ! -ხელებს მოავლებს სივრეში ლევანი, მერე კეფას ისრესს, ილიმის, აშკარად გახარებულია, მაგრამ თან ღელავს.

მაიკო დგება და დივანისკენ მიდის. ლევანი ახლავს მიაქევს ყურადღებას, ადგება, ცოტა მშვიდდება და მისკენ გაემართება, ზურდით მდგარს, მხრებზე შეავლებს ხელებს

-ჩვენ არასდროს ვიქნებით, ერთად, ლევან, არა? -თითქმის ჩურჩულით, მაგრამ გადაწყვეტით ამბობს მაიკო.

-როგორ არა! -წყნარად, მაგრამ უყოყმანოდ პასუხობს ლევანი. ახლა უფრო მაგრად მოხვევს ხელებს, მხარზე დადებს თავს, აკოცებს

-შენ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ჩემო მშვენიერო, ჩემო ვარდო. მაგრამ, აბა, ასეთ კარგს რა შემოგთავაზო, რა მახადია ახლა? ან შენ რაღა გაქვს? რით გავიმართოთ წელში? ვინა ვართ ჯერ? თან წინ იმდენი საქმეა, მაიკო, იმდენი და ისეთი.. იცი, რა ხდება დუნიაზე? ახლაა ემი დრო. ახლა! ჯერ ოჯახისთვის მე ვერ მოვიცლი..

-რაღა არ გაბადია, ამხელა მაზრისა და ჯარის უფროსად გაგამწესეს! თუ ჩემი შერთვა არ გეკადრება აგრე წარმატებულს? -უწყინარად, ვითომ ხუმრობით ამბობს მაიკო, სიყვარულით შესცინებს სახეში და ვიდრე ლევანი უპასუხებს ამ მწარე სიმართლეზე, თავადვე აგრძელებს:

-მითხარი, მე აქ უშენოდ როგორ გავძლო? თუ არ გერცხვინება ჩემი ქმრობა, თუ მართლა გიყვარვარ, არ შეიძლება, ჯვარი დღესვე დავიწერთ და თან წამიყვანო? მოგივლი, გაგიძხადებ, მოგეფერები, დალლილს მოგასვენებ და მხარში დაგიდგები..

-რას ამბობ, ჩემო ვარდო, აბა, შენ იმ არეულ მხარეში რა გინდა? ჯარსა და ომში რა გესაქმება? სად წაგიყვანო, განა დღისით ან ღამით ერთი წამი დრო მექნება, განა ერთ ალაგას ვიქნები, მთელს მაზრაში უნდა ვიმოდრაო... განა საშენო სახლი, საჭმელ-სასმელი და პირობები მექნება, მაიკო!

მიიზიდავს თავისკენ, შუბლზე აკოცებს, სახეს ორივე ხელით დაუჭერს, თვალეში ჩახედავს და მტკიცედ ეტყვის:

-ცოტა უნდა მადროვო, მაიკო. ცოტა ხნით უნდა გადავდოთ შეუღლება. ჩვენი მდგომარეობა ხომ ჩემზე უკეთ იცი. აი, გავიკვლევ ჩემს გზას ბოლომდე, მყარად დავდგები მალე ფეხზე, ველავინ იტყვის ჩემზე, ვიღაც ხელმოკლე თავადიშვილიაო! დავბრუნდები გამარჯვებული და მერე .. შენც ჯერ სულ ნორჩი ხარ, ჩემი ნორჩი ვარდი - ხელებს უკოცნის. აბა, ამ პაწია ხელებით რა უნდა გააკეთო, ეს ნაზი სხეული ჯერ როგორ უნდა დაღალო? იმდენის სწავლა და წაკითხვა გსურს, იმდენს რამეზე ოცნებობ, ფიქრობ, განსჯი.. ეს დრო მაგისტრის გახარჯე, ჩემო სიყვარულო.

-წამიყვანე ლევან, გეაჯები. შენ შენს საქმე მიხედე, თუგინდ მთელი დღეები გადაბმულად ნუ და ვერ მოხვალ! მე იმითაც ვიქნები ბედნიერი, შორი-ახლო რომ ვიქნები, ხანდახან რომ შეძლებ შემორბენას და შენი მაიკოს მოფერებას!

- რას ამბობ, ძვირფასო, იმ უცხო მხარესა და ველურ კაცების სიახლოვეს შენ რა გინდა? შენ იქ მართლობისა და წვალუბისათვის როგორ გაგიმეტებ? ან, ამისთანას რომ გიხილავენ, ვინმე ავსულმა არ დაგადგას თვალი, ვინმემ შენი ღამაზი გული არ მიტკინოს, არ დაგლუპოს და არ დამღუპოს მეცა! ცოტა მოითმინე, ცოტა მაცალე, ჩემო გულო და მერე ვნახოთ! ვნახოთ მერე, როგორ აჯობებს..

მაიკო ხელებს გამოართმევს, მოშორდება, ისევ დივანზე ჩამოჯდება

-კარგი, ლევან, მიხარია შენს სურვილსა და მიზნებს რომ აისრულებ. მართალია, შენი საკადრისი და ღირსი ქალი მე არა ვარ, მაგრამ მაინც დაგელოდები, მთელი სიცოცხლეც რომ დამჭირდეს! -ამბობს მორჩილად. მაგრამ იმავ წამს ბრაზი მოუვლის და ისეთი შეცვლილი ხმითა და მტკიცე ტონით აგრძელებს, თითქოს სხვა ადამიანია:

- ნეტა, რა ჭირმა შეგაყვარა აგრერივად ეს სამხედრო საქმეები! რაღა დროს ომი, ბრძოლა და რისკია. ან რაღა აზრი აქვს? ვისღა უნდა ეომო, ლევან?! აგე, ისე გაგვიუქმეს მეფობა, ისე გაგვისახლეს ამოდენა ბატონიშვილები და თავადიშვილები, ვითომ არაფერი! ისე შემობრძანდნენ ბატონ-პატრონებით, ისე გვაქციეს თავის გუბერნიად, მოხედვაც ვერ მოვასწარით. შენ კი მტერს უნდა ემსახურო! ჩვენს ბეჩავ სამშობლოს ველარ გამოვტაცებთ, ჩვენვე ჩავაბარეთ და დღემდე ვერ გაგვირკვევია, რად გადაწყვიტა ასე ერეკლემ! აგე, აჯანყების მერე ორი წელი გავიდა უკვე და ტატოს ისევ ვერა ვცნობ! და, ეს რამდენიმე თვეა, ხომ სულ შეშლილივითაა - ეძებს მაგ ცნობებს, სწავლობს, ფიქრობს, შეპყრობილსა ჰგავს, პოემა უნდა დავწერო!-ლევანს ასეთი მაიკო არ უნახავს და ერთგვარი გაცოცხლებით უსმენს.

მაიკო ახლად ამჩნევს ამას, ჩუმდება რამდენიმე წამით, თავს ხრის და თავისი წყნარი, დამშვიდებული ხმით აგრძელებს:

- ჰოდა, შენ კი არა, ჩემო ლევან, ჩემო სიცოცხლე, მეფე ერეკლე მოატყუეს... ყველა მოატყუეს-ერთხელ, ორჯერ, ათჯერ.. ყველა დააშინეს, ჩემი საკუთარი ბიძები, ნათესავები, მეგობრები.. და თუკი შენს სამშობლოს თავისუფლებას ვეღარ დაუბრუნებ, შენს ქვეყანას ვეღარ გადაარჩენ, სხვის ომში რად უნდა... -არ ამთავრებს სიტყვას, რომლის წარმოთქმაც ეშინია და კიდევ შეხედავს დამფრთხალი.

- უნდა რა?.. რა, მაიკო? სთვი ბარემდა! რისი გეშინია, ჩემო ვარდო?

- რომ.. რომ მოგკლან ომში, რამე რომ დაგემართოს, რომ სამუდამოდ დაგკარგო, ლევან, მერე რაღა ვქნა?- წყნარად, მაგრამ ისეთი გულით ამოთქვამს მაიკო, თითქოს ამონასუნქოს ამოჰყვას თავისით სათქმელი.

მაიკო გრძნობადაცლილი ზის ტახტზე, მხრებჩამოყრილი და არა მოწყენილი, გაბრაზებული ან საბრალო.. ლევანი კი გაიცინებს, გვერდზე მიუჯდება, ცხირზე ჩამოკრავს ხელს, ხუმრობის ტონით აგრძელებს საუბარს

-აი, ახლა კი ბავშვურ საუბარზე გადავედით, მაიკო. ეს სულ გრძნობებსა და რომანტიზმზე აგებული მსჯელობაა - დატყვევებული სამშობლო, დაკარგული თავისუფლება, გასახლება, დაშინება.. კარგი, რა. ტატო შენზე არც ისე კარგ გაველენას ახდენს, მგონი?)) არც მარტო მტრის ბრალია ყველაფერი. ჩვენმა თავადებმაც კარგად ჯიჯგნეს ქვეყანა და არც ახლა აკლებენ კინკლაობას თუ პირფერობას და მეტი რა უნდა მტერსაც! მაგრამ, დამიჯერე, ცუდზე მეტი მაინც კარგი შეიძლება მოგვიტანოს ამ კავშირმა -თავისუფლებაც გვექნება, განათლებაცა და წინსვლაც. აი, ნახავ. ცოტაც მოითმინე და თავად დარწმუნდები. რუსეთში მიმდინარე ცვლილებები შენზე უკეთ ვინ იცის! განა შენ არ ხარ ის მაიკო, იქაური შენება, განათლება, წიგნები და პოეტები რომ მოსწონს? ვაჟკაცურად და იმედიანად იყავი, ძვირფასო! ყველაფერი დალაგდება. მალე. მეც სიბერემდე ვიცოცხლებ! მოკვლით ვერ მომკლავენ და აი, დაჭრა და დასახიჩრებას კი ნამდვილად ვერ ავცდები! -ცხვირზე ადებს თითს და ბავშვივით უყვავებს:

-დავბრუნდები მერე შენთან და აღარ მჭირდება ორბელიანის ქალს ხეიბარი ქმარიო, აიბზუებ მაგ ლამაზ ტუჩებს! -განასახიერებს მაიკოს ტუჩაბზუებულ სახეს -მე კი შენს სახლს არ მოვშორდები და ჩემი ყავარჯნებით შემოგიმტვრევ კარსა!

მაიკოც მოხასიათდება.

- დიახაც, ავიბზუებ, მე ასეთი ლევანი მიყვარს-ლამაზი, ტანადი, ჭკვიანი, შეუპოვარი.. ხეიბარი სხვა ორბელიანის ქალს უნდოდეს!-წამოიძახებს, კისკისებს და ისიც აუჩქრავს თმას ლევანს. თან უცებ იქვე დადებული წიგნი ახსენდება, აიღებს და აჩვენებს

-უი, ნახე იმ შენმა ტატომ რა მომიძღვნა, ახალი კრებულია. იცი რა ლექსებია?? სულს ნაფლეთებად რომ აქცევს, გულს რომ განგმირავს, გონებას რომ ფრთებს შეასხამს, ისეთი!

ლევანი კრებულ დახედავს, გაიღიმებს

-ლექსები კი არა, ტყვია-წამალი ყოფილა მაშინ და ომში გამომადგება!)) -იცინიან

-ტატო, ჩვენი, ნიჭიერი, ჭკვიანი, უიმედო მიჯნური და ყარიბი ტატო! აი, ეგ კი ნამდვილად არაა საჯარე კაცი! რაიმე სამასახური უნდა გამოვუძებნო როგორმე მაგას ნახჭევანში, ჩემთან მოვაწყო, თორემ სული გასძვრება შიმშილით და ეგ ლექსები ვერ უშველის!

ხელებს მუხლებზე დაირტყამს, წამოდგება და წასავლელად გაემზადება. მაიკოც ადგება. მაგიდასთან მივა, გაიაზრებს, რომ დიდი ხნით ემშვიდობება, ხვდება, რომ არაფერი აქვს სახსოვარი, თან ლევანის ხუმრობასაც მოეჭიდება და უცებ გაუწვდის წიგნს.

-აგე, გამომართვი, ან მართლა ტყვიად გამოიყენებ, ან მთელი დღის დაღლილს, ხანდახან მაინც გულს დაგიამებს, ჩვენს თავს გაგახსენებს, თქვენს ბავშვობა-ყრმობას.... მე კიდევ ვაჩუქებინებ ტატოს, ეს შენი იყოს!

ლევანი გაიღმებს, გამოართმევს, იქვე მაგიდაზე დადებს, მაკოს ნაზად ჩაიხუტებს გულში ცოტა ხნით, ნაზად კოცნის თავზე და უცებ აჩქარდება.

-დავგვიანდები, კიდევ ბევრი საქმე მომრჩა მოსაგვარებელი, მაიკო. შენ იცი, ჩემო მშვენიერო, არ მოიწყინო, არ დამივიწყო, თავს გაუფრთხილდი! - ნაჩქარევად და უხერხულად ჩამოხსნის სკამის საზურგედან მუნდირს, რომელსაც ლენტი მოძვრება შემთხვევით და იატაკზე დაეცემა, მაგრამ ვერცერთი ვერ ამჩნევს, კარისკენ სწრაფად გაემშურება, წიგნი არც ახსენდება. მაიკოც გაყვება, ლამაზი, წელგამართული, ამაყი, ნამალადევი გამოცოცხლებით და ღიმილით, თითქოს მხოლოდ ხვალამდე ემშვიდობებოდეს. ლევანი იქ კიდევ ერთხელ შეჩერდება, ცალი ხელით მიიზიდავს, შუბლზე აკოცებს და ისე სწრაფად გავა, რომ კარებში გამოჩენილ მოახლეს კინალამ წააქცევს. მაიკო იქვე რჩება. მოახლე შემოდის ოთახში, მაგიდასთან მიდის

-როგორ ტყვიასავით გავარდა თავადი, არა?! მე კი მეგონა, სადილზე დარჩებოდა - ჭიქებს ლანგარზე აწყობს, სკამებს მაგიდას შემოუწყობს, იატაკზე ლენტს შეამჩნევს. აიღებს, დახედავს, გადააბრუნ- გადმოაბრუნებს და მაიკოს გახედავს.

-ეს თავად ლევანს ხომ არ დაუვარდა, ნეტა, ქალბატონო?

მაიკო გაშტერებული დგას, არ პასუხობს, ლევანის გასვლის შემდეგ თითქოს მოიხრება, დაპატარავდება, იცის რომ ეს დასასრულია..

- ქალბატონო!

-ა- გამოერკვევა მაიკო, გამოხედავს მოახლეს, ნელი ნაბჯით წამოვა მისკენ, გამოართმევს, დაიდებს ხელისგულზე, დასცქერის მოწყენილი და მაგიდაზე დებს ცივად

- ეს რა არის, ქალბატონო, მედალია? - ცნობისმოყვარეობით ეკითხება მოახლე, თან ლანგარს იღებს გასატანად

- გეორგიევსკის ლენტი - ყრუდ პასუხობს მაიკო და ბურთი ეჩხირება ყელში, ბრუნდება და ფანჯრისკენ მიდის. ჯერ სახეს ჩარგავს ხელისგულებში, მერე მოსხლეტით ჩამოუვარდება ხელები და რაფაზე შუბლმიდებული დგას ფანჯარასთან.

- უი, მოსძვრა ალბათ და ვერ კი შეამჩნევდა. ვაი, სად მივუტანო, ქალბატონო? მიბრძნე ოღონდაც, რა ვქნა უნდა ვქნა? - მერე დახედავს და ვერ მოითმენს, სხვა ტონით გააგრძელებს ჩქარ-ჩქარა:

-ოჰ, ეს მაგათი ჩინ-მენდლები! ეს საშინელი, გაიძვერა გადამთიელები, ვითომ ერთმორწმუნე ურჯულოები! როგორ მეზიზღებიან! როგორ დაგვისაკუთრეს და ვერც კი ვებრძვით! რატომ, ნეტა, რატომ.. განა მაგათზე ძლიერებს არ მოვრევივართ, ქალბატონო? ჰა? როგორ გადაუვლია მაგათ სტანციასთან საფოსტო ეტლს ჩემი სოფლის ქალ-ბავშვისათვის, გაიგეთ, არა, ქალბატონო? თან მანამდე როგორ უღმერთოდ უცემიათ! არა, ორმოში ჩაუყრიათ ქალ-ბავშვიანად და იგრე უცემიათ, ურჯულოებით, კაცო..- მოახლეს ცრემლი ერევა, მაგრამ ემხში შედის:

-აი, რატომ, რატომ უნდათ ჩვენს ვაჟკაცებს მაგათ ჯარში, რად .. - კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ მაიკო მოუბრუნებლად წევს ხელს. მოახლე უცებ ხვდება, რომ ზედმეტი მოუვიდა, ჩუმდება, თავს ხრის და სასწრაფოდ გადის ოთახიდან.

გასული არ არის, რომ ისმის სწრაფი ამორბენის ხმა და ოთახში მუნდირშეკრული, თავკუდიანი ლევანი შემოიჭრება ისევ.

მაიკო სწრაფად მობრუნდება, სწრაფადვე იმშრალეებს სახეს, გამოცოცხლდება, გახარებული მიიბრუნს მაგიდასთან, სადაც ლევანი შეჩერდება, ლენტსაც გამოწევს წინ და ტატოს წიგნსაც დაავლებს ხელს, რომ ისიც გაატანოს. ლევანი გაფაციცებით იყურება იქეთ-აქეთ, იატაკზე. მერე მაგიდაზე მოკრავს თვალს ლენტს და მოეშვება, დამშვიდდება, სასწრაფოდ აიღებს. თან იმაგრებს მუნდირზე, თან ამბობს:

- აი, სად დამვარდნია, როგორ მომძვრა, როდის! ღმერთო, რა ვიღელვე, რომ იცოდე! ეს რომ დამკარგოდა!! რა კარგია, რა კარგია, რომ ვიპოვე და რომ ამის გამო ისევ მომიწია შენმა ნახვამ, ჩემო ვარდო! - ხელებით ისევ იჭერს მაიკოს სახეს, გადაუწევს, ახლა უკვე გზნებით აკოცებს ტუჩებში, ნელა მოაშორებს სახეს, ერთ წამს ისევ დააცქერდება, მკვეთრად გაუშვებს მერე ხელს, შებრუნდება და სწრაფად გადის.

მაიკო წიგნით ხელში მაგიდის წინ დგას. სცენაზე შუქი ინავლება, სანთელი ალიცლიცდება..

მაიკო წიგნს მაგიდაზე აბრუნებს, ნაბიჯს წინ დგამს, ხელებს შუბლთან მიიღებს, ხმადაბლა, ცრემლიანი ხმით იწყებს 90-ე ფსალმუნს:(თანდათან ხმა უმტკიცდება, ტონს უმატებს, „ასპიტსა და ვასილიკოსსა ზედა ხვიდოდე“ ნაწილამდე და მერე ისევ აკლებს, და ბოლოს ისევ ჩურჩულით ამთავრებს)

„რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მალლისათა, საფარველსა ღმრთისა ზეცათასა განისვენოს. ჰრქვას უფალსა: ხელის აღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას. რამეთუ მან გიხსნეს შენ საფრხისა მისგან მონადირეთასა და სიტყვისა მისგან განსაკრთომელისა. (ცრემლით)

ბეჭთ-საშუვალთა მისითა გფარვიდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე; საჭურველად გარე-მოგადგეს შენ ჭემმარიტება მისი. არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი. დაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხვევისაგან და ეშმაკისა შუა დღისა. (დამშვიდებული ხმით)

(სიმტკიცით) დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი – მარჯვენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ. ხოლო შენ თვალთა შენითა ჰხედვიდე და მისაგებელი ცოდვილთა იხილო. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენდა. არა შევიდეს შენდა ძვირი, და გვემაი არა მიეახლოს საყოფელთა შენთა. რამეთუ ანგელოსთა მისთადა უბრძანებიეს შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა. ხელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი. ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი!

(ისევ წყნარად) რამეთუ მე მესვიდა, და ვიხსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. ხმა-ყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი და მის თანა ვიყო ჭირსა შეინა; ვიხსნა იგი და ვადიდო იგი. დღეგრძელებითა განვამლო იგი და უჩვენო მას მაცხოვარება ჩემი.

(ჩურჩულით) უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთათა და ყოველთა წმიდათა, შეგვიწყალებნ ჩუენ, ამინ.”

იკეცება, თავს მუხლებში რგავს, შუქი ქრება.

სცენა 1.6

ისევ პატარა შემორბის

- ბაბუ, ბაბუ, რატომ არ გამოხვედი, იცი რა გემრიელი ღვეზელები იყო? იმდენი ილაპარაკეს ომებზე, იმდენი, როო. იფ! ჩვენი მოძღვარიც მოვიდა და შენ რომ წმინდა გიორგიზე მომიყევი, სასწაული მეომარი იყოო, ციდან დაეშვა და ქართველებს გაამარჯვებინაო, იმან კიდევ, იცი,რა მოჰყვა წმინდა გიორგიზე და გველეშაპზე? მსხვერპლად რომ თითო ქალს სწირავდნენ თურმე ყოველდღე ავსულსა და მეფის ასულის ჯერი რომ დადგა, ისიც რომ მიჰგვარეს.. ჰოდა, იცი, ვინ დაიხსნა?

- ვიცი, ბაბუ. წმინდა გიორგიმ! აი, გამოაბა კისერზე თოკი, მისცა თოკის ბოლო მეფის ასულს და ეგრე ატარა თურმე ქალმა მთელ ქალაქში!

- ეიი, თუ იცოდი, რატომ არ მომიყევი, ეგ ამბავიც-ბაბუსთან თავმოწონების ნირი წაუხდება ბავშვს

-წავიდე, ელისაბედს მოვუყვე.. რომ გავიზრდები, მეც მექნება მახვილი და შუბი და მეც მოვკლავ გველეშაპს, აი ნახავ!

გარბის, ლევანი სიყვარულით და ტკივილით აყოლებს თვალს.. ოდნავ თავს იქნევს - თითქოს თან უხარია, რომ ბაღლობიდან ბრძოლის ამბები მოსწონს შვილიშვილს, თან გული სტკივა ამ ხიბლის გამო..

-ჭირსაც წაუღია შუბ-მახვილი, ჯარი და ბრძოლა..ჭირს!-ტავს უკან გადაწევს, სავარძლის საზურგეზე მიესვენება..

სცენა ბნელდება და შემოდის მაზურკა

სცენა 1.7

მუსიკა, შუქი ისევ იცვლება. ირევიან ლამაზად ჩაცმული მომეჯლისეები. საპატიო ადგილას ზის იმპერატორი. კუთხეში დგანან მაიკო, ნინო ჭავჭავაძე და გრაფის ასული (სიმონოვიჩი). მათ აქცევს ყურადღებას და მოძრაობებით და ჟესტებით ჩანს, როგორ კითხულობს, ინტერესდება, ვინ არიან, როგორ მოახსენებენ, როგორ მიუახლოვდება ადიუტანტი მაიკოს, მიჰგვრის და გააცნობს. ის ხელზე კოცნის, მერე კი მაიკო ისევ ქალებს უბრუნდება, გრძელდება მეჯლისი, მაგრამ ამის დამნახავი თავადები უკვე ხვდებიან, ეს რას ნიშნავს და სცენაზე წინა პლანზე მათი ბჭობა გადმოდის, უკანა ფონზე ჯერ მეჯლისის სცენებია, მერე ბნელდება და მთავრდება, მერე მაიკოც შემოყავთ ამათთან.

თავადაზნაურთა ბჭობა

-დავიღუპეთ! ეგ რომ ვინმეს თვალს დაადგამს, დამთავრებულია! დიდ პატივად თვლის, ვინმეს შვილი, და, ან ცოლი თუ ინდომა

- ცოლიც, კაცო??

-ასეა. ქმარს უთვლიან პირდაპირ, ასეა ეს საქმე და რჩეული ხარო!

- რა დაცინვია, როგორი აყრაა ღირსებისა!

-უარი რომ ვუთხრათ? რა გველის მაშნ? ნეტა რად მოვაწყეთ საერთოდ, ეს მეჯლისი! ეს რა დაგვემართა, რა ვქნათ, როროგ მოვიქცეთ, ბატონებო?

-რას ამბობ? უარს მაშინვე ამ დესპოტის რისხვა მოჰყვება! აიკლებს ჩვენს ოჯახებს, ცოლ-შვილს, ქვეყანას, ჩვენც ურჩობისთვის ციმბირის გზას გაგვიყენებს ან ჩამოგვახრჩობს!

-კიდევ არის ჩამოხრჩობა? დახვრეტით არ შეცვლა?

-ბატონებო, რაზე საუბრობთ! როგორ შეიძლება! მივეახლოთ, ავუხსნათ, რომ ჩვენ ქვეყანაში ეს გამორიცხებულია..

-ცეცხლს ეთამაშებით! არც კი იცით, ვისთან გაქვთ საქმე, სჯობს, ქალებთან მოვაგვაროთ უკვე საქმე, დროს ნუ დაგვარგავთ..

-ვის უმტყუნა ბედმა?

პაუზა..

-ვის?...

მძიმე ამოსუნთქვა ..-- მაიკო ორბელიანი..

- მაიკო??....

სიჩუმე, თავზარი..

-რა ამბობ... ის ხომ... ღმერთო, სულ ყმაწვილია, ქალწული... თან, თან ლევანს ეტრფის და ელოდება.. აკი, ნინო? ნინოც გადაჰყვება ამას, მაგრამ ქვრივია მაინც, რაც უნდა იყოს..

-ნინოზე უარი თქვა, რომ გაიგო ალექსანდრეს ქალი იყო და გრიბოედოვის ქვრივი! თან მაიკო უფრო მოეწონა-მწიფე ფორთოხალივითაო მისმა პატივცემულმა გენერალ-მაიორმა სტიშინსკიმ

-უხ. ღმერთო-კბილებში გამოსრიან, ხმაღს იძრობენ ორი-სამი თავადი, წამოხტებიან

უფროსები ხელს წაუვლებენ და დაბალ ხმაზე, მაგრამ მკაცრად მიმართავენ:

- დაშოშმინდით! სიწყნარე! ან ქალი უნდა მივგვაროთ, ან გავეშებული მხეცის შურისძიებას ელოდეთ! გაროზგვას, გადასახლებებს და ათასობით ქალის და გოგონას გაუპატიურებას მაგათი სალდათებისგან! პირველად დგას საქართველო მსგავსი სამრცხვინო და საშინელი არჩევანის წინაშე? ჯერაც არ მოუთხოვია მტერს ჩვენი დედოფლები, მეფის ასულები და დები ჩვენგან? იყურეთ ყველამ! უხმეთ მაიკოს!

უხმოდ გადიან ყველანი . ერთი რჩება. მაიკო შემოყავთ, ის კი, რადგან ცალკე დაიბარეს, ფიქრობს, ცუდი ამბავი ლევანს ეხება და აღელვებული მივარდება:

- ღმერთო, ლევანი! რა დაემართა ჩემს ლევანს? რა მოხდა, მითხარით სწარფად, დავიღუპე?

მოეხვევა, დასვამს , დააწყნარებს

- არა, არა.. ლევანი წესრიგშია.. -საკინძეს იხსნის, ჯერ გაივლ-გამოივლის, მერე დაუჯდება ახლოს:

-მაიკო! მისი ბრწყინვალეობა შენით მოხიბლულია! ეს დიდი პატივია..

მაიკო ცუდს იგრძნობს, წამოდგება, განზე გადგება, სიშორეში იცქირება, იყინება ადგილზე და ყრუდ, მაგრამ მტკიცედ ამბობს:

-განაგრძეთ!

თავადი ვერ უძლებს ამას, წამოდგება, მიეჭრება მაიკოს, უვარდება მუხლებზე:

- უნდა გვიშველო, ჩემო მაიკო, ჩვენო შვილო! ჩვენ, საკუთარ თავს, ლევანს, ქვეყანას, ყველას უნდა გვიშველო, მაიკო!

გაოგნებული და გაშეშებული დგას და მანაქანასავით, მაგრამ ნელა და რითმულად საუბრობს:

-მერე მამა? ბეჩავი მამა? ტატო? ტატომ რა თქვა? მაგისტვის გამოეწყო ჩოხა-ახალუხში? ორდენონოსეც! - მწარე ღიმილით იმეორებს იმპერატორის სიტყვას

- და ლევანი? - და აქ ვეღარ იკავებს თავს, ხელებს სახეზე აიფარებს, ატირდება, ყვირის:

- ლევანიი???

თავადი წამოდგება, მოეხვევა, თავადაც ცრემლებს ძლივს იკავებს:

-მაიკო, მისმინე. ლევანი შესანიშნავი ახალგაზრდაა, მაგრამ ხომ იცი, ძალიან უყვარს თავისი საქმე, მისი მიზანი დიდია და მნიშვნელოვანი. ეს სერიოზული საქმეა. ეს ომია, მშვიდობაა, პოლიტიკაა.. ის შენს ცოლად შერთვას არ აპირებს..- მაიკო შშლილივით შეხედავს

-ახლა არ აპირებს, არ ჩქარობს.. -ამატებს სასწრაფოდ თავადი

- ეს ყველამ ვიცით, რომ თავს იკავებს. ასე კი. ასე...

გაჰყავს გვერდით და საიდუმლოდ ეუბნება

- მისმინე მაიკო, ვიცი, შვილო რასაც გრძნობ ახლა. მაგრამ გამოსავლი არ არის და რადგან მოსახდენი მაინც უნდა მოხდეს, სჯობს სარგებელი მიიღო აქედან... ამბობენ, თავად იმპერატორის ცოლი აგვარებს მერე ამ საკითხებს... ასეთ საქმეებს.. ყველა ქალს შემდეგ ისე უძებნის პატრონს, ის ათხოვებს და მის სიტყვას ვერავინ გადავა, გესმის? ვერავინ!. ჩვენ ვეტყვი ადიუტანტს, რომ მარია ფიოდოროვნამ თავად ლევანს შენს შერთვაზე კურთხევის წერილი მისწეროს მერე. . ლევანი იმპერატორის სიტყვას ვერ გადავა..

მაიკო გაოგნებული შეხედავს თავადს.. მისი ბრაზი, ტკივილი, სასოწარკვეთა უცებ ისევ მოდუნებით და ერთგვარი სარკაზმით იცვლება

-ახლა თუ არ ვუნდივარ ლევანს, მერე ნიკოლოზის გაბახებულს მიკადრებს? -ელიძე მწარედ.

თავადი თავს ჩაქინდრავს, ვერაფერს ამბობს, მხოლოდ შუბლზე კოცნის, გულში იკრავს და გასასვლელთან დადგება

-რატომ, ღმერთო, რატომ??? რატომ მე?? -გაოგნებული ჩურჩულებს მაიკო

-არააა!! - კვიის უცებ, თავში ხელეზღაშნილი იკეცება ადგილზე და სცენა ბნელდება

სცენა 1.8. - იმპერატორთან

კოჯორი, მდიდრულად მოწყობილი საძინებელი, ფარდებიანი საწოლი უკანა პლანზე, ბუხარი, წინ სავარძლები, დაბალი მაგიდა და ხილით სავსე ლარნაკი და სასმელი ზედ.

-მაიკო გაშეშებული დგას, თავდახრილი, თითქოს ქვის სვეტია

იმპერატორი თბილად უწყებს საუბარს:

-დაბრძანდით, მშვენიერო ქალბატონო, სასიამოვნოა თქვენი ხილვა ამ ცივ საღამოს ჩემს მოსასვენებლებში. აბა, გამეცანით, გეთაყვა. თქვენი სახელი

მაიკო ორჯერ აპირებს ხმის ამოღებას, ორჯერვე ხმა უწყდება და ბოლოს ამოთქვამს

- მაიკო ორბელიანი, თავად ქაიხოსრო ორბელიანის ასული, გენერალ გრიგოლ ორბელიანის ძმისწული.

-ოო.. სასიამოვნოა, სასიამოვნო. დიდგვაროვანი და ჩინიანი ნათესავები გყოლიათ. არანაკლები, ვიდრე გრიბოედვის მშვენიერ ქვრივს, რომელზეც ხელი ამაღებინეს)) -ამჟამად დაცინვით ამბობს და ახედ-დახედავს მაიკოს.

მაიკო წიწმატდება, იკრებს ძალას, იმართება სავარძელში, თავს ამაყად წევს და იგივე დამცინავი ღიმილით და ზიზღით სავსე თვალებით პასუხობს

-უბრალო ქალს ხომ არ გაკადრებდნენ, თქვენო ბრწყინვალე ბავ!

იმპერატორი არ ელოდა, უკან დაიწევს სავარძელში, გაკვირვებით შეხედავს, მერე მოეწონება ქალის სითამამე და კიდევ სცდის მის გაბრაზებას

-ეგ მართალია! დიდი პატივია ნებისმიერი ქალისთვის ჩემი ყურადღება, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ მე არ მიბრძანებია! ამ ხილივით მომართვეს თქვენი თავი, აი, მიირთვიო! თქვენსავით სავსე, წვნიან ფორთოხლებია!

მაიკო ფეხზე წამოიჭრება

- დიახ, თავადის ქალი ვარ. და ისინიც თავადები იყვნენ, ვისი აჯანყებაც სისხლში ჩაახშეს თქვენმა ქვეშემდომებმა ორიოდ წლის წინ! - იმპერატორს ხელი უშეშდება, წამომართება, ბრაზი დაეტყობა სახეზე, უნდა რაღაცა თავას, მაგრამ მაიკო აგრძელებს:

-ეს უძველესი კულტურის და უმამაცესი მეომრების ქვეყანაა თქვენო ბრწყინვალეზავ. აქ არც ველური ბარბაროსები ცხოვრებენ და არც მხდალი კაცები, თავისი ქალების ღირსება რომ ვერ დაიცვან! პირველ ყოვლისა, თქვენს ყურადღებას ბრძანების ფასი აქვს, დიახაც, და მერეც, დღეს, როცა ყველა შეთანხმება დარღვეულია და დაცვის ნაცვლად, თქვენი ქვეყნის გუბერნიად აქციეთ ჩვენი ქვეყანა, აქ მაცხოვრებლებიც თქვენ გეკუთვნით, სამწუხაროდ და, ნათქვამია- კეისარს კეისარისო! შემდეგი მიზეზი ის არის, რომ ჩვენთან ოდითგან იყო მსხვერპლის შეწირვა ძლიერისთვის, ვიდრე გმირი არ გამოჩნდებოდა, არ დაიცავდა მას მტრის კლანჭებისაგან! და დღეს მე ვარ ჩემი სამშობლოსთვის მსხვერპლი! ჩემი ჯერია! იცით, რამდენი წლის იყვნენ ჩვენიმეფეების ასულები თუ დები, საზარელ სულთანებსა და მათ შვილებს რომ ატანდნენ ცხვრებივით, უგზავნიდნენ ძღვენივით, ოღონდ ქვეყანა არ აეოხრებინა? იცით? -გადახედავს იმპერატორს, შეკრთება ცოტა და უფრო რბილი ხმით, მაგრამ თამამად და გულწრფელად ჰკითხავს:

- თქვენ თქვენს ქალიშვილს გაიმეტებდით? -იმპერატორს სახე ეცვლება. მერე ულღვება, ბრაზის ნაცვლად ინტერესით ევსება, მაიკოს აღტაცებითაც კი უყურებს უკვე:

- მიზეზი იმაზე გაცილებით ღრმა და წმინდა ყოფილა, ვიდრე წარმოვიდგენდი- დაფიქრებით და ინტერესით ამბობს იმპერატორი - დაბრძანდით..

მაიკო ჯდება. ახლადა ხვდება, რომ ბეწვის ხიდზე გაიარა, ხვდება რამდენი გაბედა და უცებ ისევ მორცხვ ქალიშვილად იქცევა, თუმცა სიმტკიცეს მაინც არ კარგავს და უფრო მშვიდი, მორიდებული და ცოტა გამომცდელი ხმით აგრძელებს:

- და თუ გნებავთ, კიდევ არის ერთი მიზეზი: ჩვენში სტუმრის გამოცდაც იციან, სხვათშორის. პატივს მიაგებენ, ავახშმებენ, ფეხებს დაბანენ, თავად თავლაში ან გომურშიც რომ მოუწიოთ ღამის გათევა, ლოგინს საუკეთესო ოთახში გაუშლიან, საკუთარ ქალიშვილს მიუწვენენ, 13-14 წლისაც რომ იყოს. -იმპერატორი წინწამოიწევს, სახეზე გაოცება ესახება

-ღამით რომ გაართოს საუბრით, მძინარეს მოუაროს და მიხედოს ნასვამს, სტუმარმა კი მას კი ხელი არ უნდა ახლოს! -სხაპასხუპით უხსნის მაიკო, რომ ამ გაოცებას უპასუხოს, მერე გამომცდელად შეხედავს:

- შუაში მუდამ ხანჯალს დებენ და თუ მართლა ვაჟკაცია, იმ ხანჯალს არ გადაცდება -მაიკო ასრულებს საუბარს, ჯერ ჯიქურ შეხედავს და მერე თავს ხრის.

ნიკოლოზი ინტერესდება, ვნებით აგზნებული კაციდან ისევ იმპერატორად იქცევა - მოეწონება მაიკოს განათლება, პატრიოტიზმი, დაფიქრდება, წამოდგება, გაივლ-გამოივლის, შეშას შეუკეთებს ბუხარში, საუბარს იწყებს.

-კარგად მოვიქეცი, რომ გამოვემგზავრე! - ამბობს უერად. მაიკო გაკვირვებით შეხედავს, ის კი იყურება პირდაპირ, სიამაყით, ხელს მუხდირში იმაგრებს, დინჯად დადის:

-აი, ამიტომ მინდოდა საკუთარი თვალთ მენახა ჩემი იმპერია, ბრძნული და დროული იყო ჩემი გადაწყვეტილება, მომეწონა ჩვენი გუბერნიები და იქ მცხოვრებ ხალხებს თავად გავცნობოდი. სწორად მოვიქეცი, რომ გამოვემგზავრე! მართალი ყოფილა, რასაც ქართველებზე ჰყვებიან - შემობრუნდება მაიკოსკენ.

-დიდი ბრძოლები რომ გაქვთ გადატანილი, ვიცი, ვიცი.. საინტერესო მხედართმთავრები გყავდათ, ნამდვილად! ჩემი აღმზრდელი, გენერალი ლამზდორფი მიყვებოდა! - მოსვამს ღვინოს და აგრძელებს:

- მე ბავშობიდან ვგიჟდებოდი სამხედრო საქმეზე, მშიერივით ვეწაფებდი ყველანაირ ცნობას, მაგრამ დედას არ სურდა, უფლებას არ მამღევდა!) მთელი მისი „ზრუნვა“ ჩემზე, ეს იყო მცდელობა, მოვეშორებინე სამხედრო წვრთნებისგან, რამაც ადრეულ ასაკშივე გამიტაცა! თავაზიანობის გამო ჩემი უფროსი ძმა, იმპერატორი ალექსანდრე თავს იკავებდა ჩვენს აღზრდაში დაქვრივებული და გამწარებული დედოფლის ასეთი ჩარევისაგან, მაგრამ მე ეს საქმე იმდენად მიყვარდა, რომ სულ რაღაც 4 წლისას, მამის საშინელი სიკვდილი კი, სწორედ სამხედრო პოლკების ცქერამ და ჩემმა სათამაშო ცხენებმა დამავიწყეს.

მაიკო დაინტერესებულ მსმენელად იქცევა, რომ იმპერატორის საუბარს ხელი შეუწყოს, უსხამს სასმელს, ჭიქას მიაწოდებს

-სათამაშო ცხენებმა? ეს როგორ, თქვენო ბრწყინვალეობა?

იმპერატორი ფანჯარასთან დგება, გაჰყრებს სივრცეს და დამაბული ხმით ყვება:

-ამ ნაღვლიანი დღის მოვლენები ჩემს მეხსიერებაში სიზამრევით ჩარჩა. მახსოვს, გრაფინია ლივენმა გამაღვიძა, ჩამაცვეს და ფანჯრიდან რაც პირველი დავინახე, ეს იყვნენ ყარაულები ასაწევ ხიდზე, ტაძრის ქვემოთ.. ლამის მთელი სემიონოვის პოლკი უცნაურად მოუწესრიგებელ ფორმაში. არც გვიეჭვია, რომ მამა დაგვარგეთ!! ქვემოთ ჩაგვიყვანეს.. ყველანი ზამთრის სასახლეში წავედით. დედა შუა ოთახში იწვა, იმპერატორი ალექსანდრე კონსტანტინესთან და კნიაზ სალტიკოვთან ერთად რომ შემოვიდა. დავინახე როგორ დაეცა ის მუხლებზე დედას წინაშე და ამ წუთამდე მესმის მისი ქვითინი. მახსოვს, წყალი მიუტანეს, ჩვენ კი გაგვიყვანეს ჩვენს ოთახებში, რომელთა ნახვამ მაშინ ძალიან გაგვახარა. ბედნიერება იყო ისევ შეხება იმ სათამაშო ხის ცხენებთან, რომელიც ჩვენ იქ დაგვრჩა, რომელმაც მაშინ დროებით დამავიწყა მამას ამბავი.. -იმპერატორი ოთახისკენ შემობრუნდება;

-აი, ასე პატარამ მივიღე პირველი დიდი დარტყმა ჩემს ცხოვრებაში.. - გაჩუმდება და შორს იყურება ფანჯარაში, თითქოს აქედან იმ სასახლის ფანჯრებს უცქერდეს

მაიკო ხვდება, რომ ამ მდგომარეობიდან გადმორთვისტანავე ისევ მას მოუბრუნდება და ცდილობს, გააგრძელებინოს მოყოლა:

- ნამდვილად საშინელი დარტყმა გადაგიტანიათ.. მაგრამ მაშინ სულმთლად ბავშვი იყავით, მაინც შემდგომში გაიაზრებდით მომხდარს.. და რა იყო თქვენი შემდეგი დარტყმა?
- შემდეგი? გსურთ თავისი იმპერიის დასათვალიერებლად და შესასწავლად ჩამოსული დიდი იმპერატორი იმაზე ალაპარაკოთ, რამაც ცხოვრებაში გული ატკინა? ჩემი სისუსტეების აღმოჩენას ცდილობთ, თავადის ქალო? - ტონი ეცვლება იმპერატორს. მაიკო ჩიამუხლებს, თავს დაუკრავს
- არა, თქვენო ბრწყინვალეზაც. უბრალოდ, თქვენ ისეთი გულწრფელი იყავით წამების წინ.. ისეთი მგრძობიარე.. ვიფიქრე, იქნებ.. თქვენ ხომ ისე იშვიათად გეძლევათ უფლება თქვენი სურვილების და ოცნებების მიხედვით იცხოვროთ, ან... ისაუბროთ მაინც ამაზე.. ამოქვით.. ვინმეთან.. საქმეები, მოვალეობები, იმპერია.. წარმომიდგენია, რამხელა ძალაუფლება და ტყვეობა ერთდროულად.. -ამოიხვნეშებს მაიკო და ისეთი გულწრფელია, რომ იმპერატორი ჯერ გამომცდელად შეხედავს და მერე უცებ მოლბება და გადაწყვეტს, ისაუბროს ამ თემაზე:
- დიახ, დიახ.. ეს ტყვეობა უფროა.. რომ იცოდეთ, როგორ არ მინდოდა გამეფება! რომ იცოდეთ, როგორ ვეცადე ამეცილებინა.. მაგრამ.. სწორედ ეს იყო ჩემი კიდევ ერთი დარტყმა ცხოვრებაში, რომლის გადატანა და ზიდვა დღემდე მიწევს))

-მართლაც გასაოცარია.. თითქოს განგების დაცინვა... ზოგი ყველაფერზე მიდის ტახტის გამო.. ზოგს კი ასე გულით არ სურს და თითქოს თავად ღმერთი ავალებს ! ჰმ.. მაგრამ, მხოლოდ პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება ან უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, არა?

-არა, არა, სულაც არა! პირიქით, მე ბავშვობიდან გაგიჟებით მიყვარდა სამხედრო საქმე-სათამაშოები, საუბრები ომზე, ბრძოლებზე.. ჩემთვის საუკეთესო ჯილდო იყო ალღუმზე ან წვრთნებზე გაშვება)) ყველაფერს, თითოეულ წვრილმანს უდიდესი ყურადღებით ვაკვირდებოდი.. წარმოიდგინეთ, რომ მიუხედავად საუკეთესო მასწავლებლებისა, სწავლას გულს დიდად არ ვუდებდი).. ჰუმანიტარულ მეცნიერებებს საერთოდ არ ვცნობდი)) დიდად არ მეხერხება -იცინის

- სამაგიეროდ, ფორტიფიკაცია მიტაცებს, საინჟინრო საქმე... და სამხედრო ხელოვნებაშიიიი.. ოოო.. მშვენივრად ვერკვეოდი იმთავითვე! ჯერ კიდევ 812 ში , (ღმერთო, რა ახალგაზრდა და ჟინიანი ვიყავი მაშინ), პირდაპირ გიჟივით ვილტვოდი ომში წასასვლელად, მაგრამ..ვერ წავედი! ეცინება

-რატომ?

- ვერ წარმოიდგენთ! დედა- დედოფალმა არ გამიშვა)) კატეგორიული უარი განმიცხდა! ოო, რა ტანჯვა იყო მაშინ ეს ჩემთვის, ვერც მიხვდებით, თავადის ქალო! (იმპერატორს სულ ავიწყდება, რისთვისაა აქ მაიკო, გატაცებით იწყებს მოყოლას- ხან დადის ოთახში, ხან შემას შეუკეთებს, ხან სასმელს დაისხამს, ხან ჩამოჯდება) :

-სწორედ ამიტომ უარყოფდი გამეფებას, არ მსურდა, გჯერათ, რომ არ მინდოდა! - იცინის.. მერე სერიოზული სახით განაგრძობს

-სხვა გზა არ მქონდა...ჯერ კიდევ გარდაცვალებამდე, როცა ჩემმა ძმამ, კონსტანტინემ უარი თქვა ტახტზე, როცამე და ჩემს მეუღლეს იმპერატორი ალექსანდრე პირველი გვეახლა და გამოგვიცხადა იმის შესახებ, რომ მე უნდა ვზიდო ეს ტვირთი, იცით რა დამემართა? ხელმწიფე წავიდა, მე კი დავრჩი მეუღლესთან ერთად მდგომარეობაში, რომელიც შემიძლია მხოლოდ ისეთ შეგრძნებას მივამსგავსო, რომელიც ყვავილებით მოფენილ, საუკეთესო ხედებით სავსე საამურ გზაზე მშვიდად მიმავალ ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს და გაანადგუროს, თუ ეუცრად ვეხქვემ უფსკრულის პირს იგრნობს, რომელშიც უხილავი ძალა აგდებს, გათვასუფლებს და დაბრუნების ნებას არ აძლევს.. აი, იმ საშინელი მდგომარეობის სრული აღწერა, თუ სიმართლე გსურთ..

-და მაინც დათანმდით...

- დიახ, დიახ... დავთანხმდი. მაგრამ, ეს უკვე ბედისწერა იყო... ალექსანდრე გარდაიცვალა, კონსტანტინემ უარი თქვა..იყო გაუგებრობები კურთხევასთან დაკავშირებით.. მოკლედ.. გრძელი ისტორიაა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა... გამოდიოდა, რუსეთს ორი მეფე ჰყავდა ან საერთოდ არ ჰყავდა იმპერატორი!!)) ასე რომ, დავთანხმდი და მთავარი შვება მთელ ამ გაუგებრობაში მაინც იმპერატორის სამხედრო შესაძლებლობები იყო! ჩემი ვნება და გატაცება!

მაიკოს შეაჩერდება. მაიკო ხვდება, რომ საუბარი უნდა დაიჭიროს, რომ ეს ნოტა გაგრძელდეს და გულწრფელად წამოცდება:

- ღმერთო, რა უცნაურია, მაინც რატომ უყვართ ასე კაცებს სამხედრო საქმე! გასაგებია, გამირობის წყურვილი მაგრამ.. ომი, ბრძოლა, სიკვდილი.. ჯარი, წვრთნა..იარაღი..

იმპერატორი აკვირდება მაიკოს, თვალს ჭუტავს და ეკითხება:

-ჩანს, შენ ვიღაცამ გული გატკინა სამხედრო საქმის სიყვარულით!

მაიკო შეცბება. ჯერ დაიბნევა, შეხედვას, თავს დახრის.

-არა, ბატონო, მაპატიეთ, საუბარს ავყევი უცებ, დაუფიქრებლად.. თქვენთან შეკამათება არც მიფიქრია

-არა, არა თავდის ქალო, მე საოცრად მომწონს თქვეთან საუბარი, გულწრფელი იყავით, გთხოვთ! მაშ ასე, მითხარით, ვინმემ გატკინათ გული?

-არა, გულის ტკენა არა, მაგრამ, ჩემი საქმროც ასეთი შეპყრობილია სამხედრო საქმის სიყვარულით. სხვა არაფერი ახსოვს და სწადია, ესაა მისი ცხოვრების მთავარი მიზანი! - მოზიარესავით შეხედავს მაიკო იმპერატორს, ილიმის და მერე თავს ხრის ისევ

-ვინ არის თქვენი საქმრო?

- საიმპერატორო არმიის პროპორშიკი, კავკასიელ მთიელთა წინააღმდეგ ექსპედიციების უფროსი, თავადი ლევან მელიქიშვილი - დინჯად და სიამაყით ამბობს მაიკო

იმპერატორი დაფიქრებით შეხედავს, თავს დაიქნევს, თვალეხს მოჭუტავს, ნიკაპზე ჩამოისმევს ხელს:

-მდაა....და ახლა სად არის იგი, მეჯლისზე რატომ არ გახლდათ თან?

-რა თქმა უნდა სამსახურში! ის ხომ ნახჩევანის მაზრის და იქაური ჯარების უფროსად ახალახანს დანიშნეს, თქვენო ბრწყინვალეზავ. დავალებული აქვს, მოკლე დროში სამხედრო ოლქად აქციოს იქურობა. დღედაღამ იქ არის, იქ იღწვის, მეჯლისზე ვერ გამომყვებოდა... სამწუხაროდ..

ისევ გაკვირვება და გრძელი პაუზა. იმპერატორის სიარულს იწყებს, მერე ჩერდება, მაიკოს აცქერდება, წვერზე ხელს ისვამს და დაფიქრებით ამბობს:

-მაშ, ჩემი მხრიდან ღირსეული საქციელი იქნება არა გველემაპივით მივიღო მსხვერპლი, არამედ სტუმარივით მოვიქცე. სწორად გავიგე, თავადის ქალო თქვენი თამამი მინიშნებები?

ბიძეები, საქმრო დიდი იმპერიის სამსახურში არიან, მის ღისებას იცავენ...მდა.. ჩემგან ნამდვილად იმსახურებენ თქვენი ღისების დაცვას..

მაიკო ახედავს და გამომცდელად დააჩერდება, თავს დახრის და ყრუდ, გაუბედავად ამბობს:

- თქვენო ბრწყინვალეზავ, სიცოცხლის ბოლომდე ვილოცებ თქვენზე, თუ ასე იქნება!

- ბარაქალა! რუსი ქალებივით, ქართველ ქალებსაც შეგძლებიათ სიყვარული! მდა... მოკლედ, ქალები ცემს გაკვირვებას და არფრთოვანებას არსდროს შეწყვეტენ, ალბათ..-გაეღიმება ჯერ და მერე ჭიქას ბუხარზე დგამს, ხელებს გავაზე იწყობს, ბოლთის ცემას იწყებს ოთახში და სერიოზული ხმითა და სახით აგრძელებს

- სულ ახალახანს გადავიტანე ეს საშინელი აჯანყება.. ძალიან რთული იყო პატიება. ძალიან. მაგრამ დეკაბრისტების ცოლების საქციელმა ჩემს ცოლსაც გული აუჩუყა, მუხლებზე დავარდნილი მევედრებოდა იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნა შეწყალებას! არც მე ვარ სიკვდილით დასჯის მომხრე. მე არავის სიკვდილით დასჯა არ მინდოდა. არავის! მაგრამ იმპერიას მკაცრი ხელი სჭირდება!. ასე უნდა მოვქცეულიყავი, რომ ეს აღარ განმეორდეს! თუმცა, მხოლოდ 5 კაცი დავსაჯე სიკვდილით, მხოლოდ 5..დანარჩენები შევიწყალე... როგორ შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლე ასე გადაუწყვირო ადამიანს, არა? ასე მსუბუქად გადაწყვიტო ადამიანის ყოფნა- არყოფნა! არ იცოდე სიცოცხლის ფასი! დუელებსაც ამიტომ ვერ ვიტანდი ვერასდროს და ამიტომ ავკრძალე ეს სიგიჟე! უფრო მეტიც- იცით, ვინ დავნიშნე სასახლის კარის კამერ-იუნკერად? პუშკინი! ყველასთვის ცნობილი და საყვარელი პოეტი ალექსანდრ პუშკინი!

- დიახ, ჩვენც გავიგეთ აქ.. ჩემი მამიდაშვილი, ტატო -ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიდი მოტრფილეა პოეზიის, თავადაც კარგი პოეტია..ის გახარებული გვიყვებოდა, როგორ შეიწყალეთ პუშკინი, თქვენო ბრწყინვალეზავ! ვზეიმობდით და გლოცავდით ამ საქციელისთვის!

-მდა.. აი, ხომ ხედავთ -ისევ იღებს ჭიქას, მოსვამს ღვინოს - თქვენ აქ მიხვდით ასეთი ჟესტის მნიშვნელობას, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ თავად ალექსანდ ნიკოლაევიჩს დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავს. იმასაც კი ბედავს, არ მობრძანდეს ხოლმე მეჯლისებზე, რომელზეც პირადად ვეპატეჟიბი- ნიკოლოზი ამას მრავალმნიშვნელოვნად ამბობს, იგრძნობა, რომ ამას არ აპატიებს..

-მაგრამ არაუშავს, არაუშავს... ყველაფერს ვაკონტროლებ, თვალსაც ყველაფერს პირადად ვადევნებ -დგამს ჭიქას მაგიდაზე და თითქოს ისევ ემზადება მაიკოზე გადმოსართავად

მაიკო ისევ იმარჯვებს და საუბრის გაგრძელებას ახერხებს:

-ღმერთო, მაშ, მართალია, რომ თქვენ პირადად წაგიკითხათ მან ევგენი ონეგინი? მახსოვს, როგორი ინტერესით და გატაცებით კითხულობდნენ ჩემი მეგობრები ამ შესანიშნავ პოემას ჩემს სალონში სულ რამდენიმე წლის უკან..

-გატყობთ, ძალიან ხართ აღტაცებული ქართველი ქალები ჩვენი პოეტებით. გრიბოედოვის ქვრივისათვის ამას კარგი არაფერი მოუტანია, როგორც ნახეთ..ასე რომ, არც თქვენ გირჩევთ, პუშკინითა და მისი მეგობრებით გაგიჟებას, თავადის ქალო..

მაიკო ხვდება, რომ სხვა მხარეს უნდა გადაუხვიოს

-არა, თქვენო ბრწყინვალეზავ, უბრალოდ მე გამიგია, რომ თქვენ ხელოვნების დიდი შემფასებელი და დამფასებელი ხართ და ეს ძალიან მომწონს, ძალიან!. თუნდაც ისეთი საოცარი შენობის გადაცემა რუსული თეატრისათვის! მე არ მინახავს, მაგრამ ბიძია პეტერბურგიდან აღფრთოვანებული ჩამოვიდა და გვიყვებოდა, რა ნაგებობაა, რა არქიტექტურა, რა სკულპტურები, პირდაპირ ნევის პროსპექტზე და თან დედოფლის სახელობის!! საოცარი ყოფილა! ბევრი გვსმენია აქ მასზე..

იმპერატორი ეჭვის თვალთ უყურებს, ელიმება.

მაიკო ხვდება, რომ ისევ სხვა მიმართულებით შეიძლება წავიდეს საქმე და უეცრად ეკითხება

-იმპერატორიკაზე ამბობენ, რომ ბრძენი და კეთილშობილი ქალბატონია.. ყველას სწყალობსო, გლეხებიც კი ებრალებო და მათთვის განათლების შემოტანა სურსო..

და მიზანს აღწევს. იმპერატორი ისევ ბრუნდება თავის კალაპოტში, შორს იყურება ღიმილით, სიამაყით და სითბოთი

-ოოო. ჩემი მარია! ჩემი მოჭიკჭიკე ჩიტი! მინდა გითხრათ, რომ თქვენ მას ძალიან მოეწონებოდით თავის ფროილინად. ხომ არ გეფიქრათ ამაზე, მაიკო? თეატრსაც ნახავდით და თქვენს საყვარელ პოეტებსა და მწერლებსაც გაიცნობდით პეტერბურგში. თუმცაა, მაშინ თქვენ და თქვენს საქმროს ამ მშვენიერი ადგილების დატოვება მოგიწევთ! არადა, საოცარი წყვილი იქნებოდით - საიმპერატორო არმიის ერთგული მსახური და მისი მშვენიერი ცოლი! - იმპერატორი ხელებს იფშვნეტს

მაიკო კალაპოტის შეცვლას გრძნობს და ისევ ცდილობს შეტრიალებას

-დიახ, რთული იქნებოდა... მაგრამ თქვენზე საოცარი წყვილი ვერ ვიქნებოდით, ალბათ, თქვენო ბრწყინვალეზავ. ეს ისეთი იშვიათია მეფეების და იმპერატორებისთვის -ცოლად სასურველი არსება მოიყვანონ.. თითქმის წარმოუდგენელი! მეფეთა ქორწინებები ხომ მუდამ პოლიტიკურ ინტერესებთანაა გადახლართული და, ალბათ, ძალიან მტკივნეულია თუ საჭიროება და სურვილი ერთმანეთს არ დაემთხვა... თქვენ როგორ გაიცანით იმპერატორიკა?-ეშმაკობს მაიკო, მაგრამ კეკლუცობის გარეშე, გულწრფელი ინტერესით ეკითხება

-მოგიყვით, როგორ გაიცანი? -წამოეგება ნიკოლოზი და ისევ ჩვეულებრივ ადამიანად იქცევა ისევ

- როგორც მოგხსენეთ, 812 ში დედამ არ ცომში გამიშვა და არც ევროპაში.. თუმცა.. უკვე შემდეგ წელს, როცა სტრატეგიას ვსწავლობდი, ჩემი დისგან, ანასგან შევიტყე, რომ ჩემი ძმა, იმპერატორი ალექსანდრე იყო სილეზიაში, ნახა პრუსთა მეფის ოჯახი და მოეწონა ჩემთვის მისი უფროსი ქალიშვილი-მარლოტა! ნეტა იცოდეთ, რა ფუჭი და სასაცილო იყო ჩემთვის ეს ამბავი, მაგრამ როცა 814-ში, ბერლინსი ჩასვლისას თავად გავიცანი ეს მშვენიერი, სათნო, გონიერი პრინცესა, ოოო - თავს იქნევს და უღვაშებზე ხელს ისმევს ნიკოლოზი. - ისე მოვიხიბლე, რომ უკვე შემდეგ წელს, სხვათაშორის, 4 ნოემბერს, -მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს მაიკოს - გამოცხადდა ჩვენი ნიშნობის შესახებ. ღმერთო, არასდროს დამავიწყდება დიდებული მიღება, ოფიციალური სადილი ბერლინში და ის წუთები, როცა ჩვენი სახელები ერთად ახსენეს! ის შეგრძნება, თითქოს სხეულის ახალი, მშვენიერი,

მსუბუქი და სასიამოვნო ნაწილი მომახორცეს, თითქოს ნაკლული ნაწილი დამიბრუნეს, შემივსეს, გამამთელეს, თითქოს თასმასავით გადამგრძობეს და გადამკვანძეს სხვა თასმასთან, რის შემდეგაც პირველად ვიგრძენი სრულყოფილება! ღმერთო, მძლეეთამძლე მეგონა მაშინ ჩემი თავი!-გაეღიმება და მოგონებებში გადავარდნილი ისევ მაიკოს დაასობს მზერას

-თქვენ იცით, თავადის ქალო, რამხელა მნიშვნელობა აქვს ქალისა და მამაკაცის სახელების ერთმანეთთან სამუდამოდ და ჭეშმარიტად დაკავშირებას? იცით რა არის ცრუ კვანძი? გარედან მტარი ჩანს და ერთი რომ გამოჰკრავ თითოს, მაშინვე იხსება. აი, შეჭმარიტი კვანძი კი... ნურას უკაცრაბვად!)) საოცარია, მაგრამ საუკუნეც რომ გავიდეს, თავად ამ სახელების პატრონებიც რომ დაშორდნენ ერთმანეთს რაიმე მიზეზით, სახელები მაინც ერთმანეთზე გადაკვანძული რჩება. სამუდამოდ.. -მოჭუტავს თვალებს და მაიკოს სწრაფად და პირდაპირ ეუბნება - თქვენი და თქვენი საქმროს კვანძიც ცრუ ხომ არ არის? ხომ არ შევამოწმოთ, თავადის ქალო?

მაიკოს ფერიეკარგება, ასეთ შემობრუნებას არ ელოდა და ჯერ გაოცებით აშტერდება იმპერატორს, მერე იბრუნებს თავდაჯერებას, მტკიცედ უსწორებს თვალს და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედვე ამბობს:

- მართალი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალეზავ! უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეყვარებულთა სახელების ერთმანეთთან დაკავშირებას. მერწმუნეთ, ჩემი და თავად ლევან მელიქიშვილის სახელები ისევე სამუდამოდაა შედუღაბებული, როგორც თქვენი და თქვენი უმშვენიერესი, ბრძენი და გასაოცარი კეთილშობილების მქონე მეუღლის წმინდა სახელები.

ნიკოლოზი ჯერ ყურადღებით უსმენს დაა აცქერდება, მერე გულწრფელად ეღიმება, შებრუნდება, გაივლის და ისევ შემობრუნდება მაიკოსკენ

-დიახ, ის საოცარი ადამიანია, ჩემი იმპერატრიცა - მეტად გულმოწყალე და ძალიან ჭკვიანი, როგორც ბრძანეთ და ცოტა ეშამაკიც)) თქვენსავით!!!-მრავალმნიშვნელოვნად შეხედავს მაიკოს. მაიკო თავს ხრის, გული ამოვარდნაზე აქვს გამუდმებით ბწვის ხიდზე სიარულისგან, მაგრამ არ იმჩნევს, თავს ერევე და ისევ თვალებში შეხედავს ნიკოლოზს

-კადნიერებაში თუ არ ჩამომართმევთ, მომიყვებით ცოტა მის საქმიანობაზე.. ჩვენში მეტად განათლებული და გულანთებული ქალი ბევრია, მაგრამ ზედმეტ მომქედებას მაინც ყველა ერიდება, ერთეულების გარდა და მათი ცოტა მსურს კიდევ.. სხვები კი მხოლოდ ქველმოქმედებას თუ ბედავენ. არადა საქმე იმდენია- განათლება, ექიმობა, კულტურა.. იმდენი რამ გვხიბლავს და გვანტერსებს ახალგაზრდებს.. აი, იმპერატრიცა, სხვაა, ის ალბათ, თამამად ნერგავს, რაც სურს.. თქვენ, რას ფიქრობთ ამაზე?

- მინდა გამოვტყდე, რომ როგორც მამაკაცს, იმპერიის საქმეთა გამრიგესა და მუდამ სამხედრო სწავლება-ომებში ჩართულს, ხშირად გამომრჩება სახელმწიფო საქმეებიდან ხოლმე რიგი საკითხები, ან,მნიშვნელოვნად არ ვთვლი. მარია ფიოდორვნა კი, როგორც ქალი და დედა, სულ სხვა თვალთ შეხედავს ხოლმე მოვლენებსა და ფაქტებს. იცით, მე მის აზრს ვუსმენ და ხშირად ვითვალისწინებ, დიახ, გლეხების საქმე, მათი სწავლება და ზოგადად, განათლება, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერება, ხელოვნება.. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ძალიან! თეატრის ამბისა არ იყოს, ისიც კარგად, გეცოდინებათ, ალბათ, მთელი იმპერია რომ დაფარა სკოლებით, გახსნა უნივერსიტეტები, უპოვართა სახლები, დაასაქმა ქალებიც.. მაგრამ ხანდახან ზედმეტი მოსდის, ძალიან ზედმეტი)) მე სხვა, უფრო დიდი საქმეები მაქვს !

მაიკო ჩამოჯდება და ინტერესით უყურებს, რომ არ შეწყვიტოს საუბარი, გააგრძელოს, ისიც წამოეგება..

- იცით, რატომ ვეთანხმები სადღაც მის აზრებს. მას ეს ქალური და საიმპერატორო გულმოწყალებით და ქრისტიანული სიკეთით მოსდის, მე კი უფრო განჭვრეტით ვუყურებ და ვხედავ, რომ თავისუფალი გლეხობაც და განათლებაც სწორედ იმიტომაცაა საჭირო, რომ შევძლო დიდი ქალაქების მშენებლობა, დავძრა მრეწველობა, აგერ, ხომ ხედავთ, რა ტემპებით მიდის გზების მშენებლობა, რამდენი ვერსი დაიგო უკვე.. ეს პირველი მაგარ საფარიათი გზაა, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა რუსეთში! -სიამაყით აგდახედავს მაიკოს, თითქოს მისაგან შექებას ელისო

-დიახ, დიახ, ვიცი ამის შესახებ, თუმცა, ... მძიმე საქმე ყოფილა. ამბობენ, ბევრი გლეხი იხოცება მშენებლობაზე, ბევრაც სასტიკად ექცევიანო მაგრამ, ალბათ, ასეთი დიდი საქმეები უმსხვერპლოდ არ კეთდება..- სიფრთხილით ამბობს მაიკო

ნიკოლოზი თვალმოწუტული შეხედავს, თიტქოს ცდილობს ამოიცნოს, ეს საყვედური იყო თუ არა. მაიკო მორჩილად ზის

-ოოჰ, ეს ქალები და თქვენი სიბრალულ- სიფაქიზე)) რა თქმა უნდა, უმძიმესი შრომაა, „პალკასაც“ ითხოვს და მსხვერპლსაც, და სულ იმიტომ, რომ ხელით ვშრომობთ, მანქანები და მრეწველობა არ გვაქვს. ამიტომ მიწა ეკონომიკის გაძლიერება, ძალიან მიწაა! რომ იცოდეთ, როგორ ვხედავ ამას ყველაფერის- აშენებულს, აგუგუნებულს. რაც მთავარია, ისევ არმია, რუსეთის იმპერიის გაფართოება და აღზევება...-შედის როლში და მერე ისევ უკან იხევს..გონზე მოდის, ახსენდება, სადაა, ტავს გაიქნევს, ღვინოს მოსვამს

- ღმერთო ჩემო, ეს რა მიქენით, რამდენი მალაპარაკეთ თავს ბრუ მეხვევა უკვე! არ გვინდა ამაზე.. რა დროს განათლება, მრეწველობა და პოლიტიკა ამ მშვენიერ ღამეს, თავადის ქალო! არაა ქალის საქმე პოლიტიკა, არა... ქალის საქმეა დაატკბოს და გაალამაზოს კაცის ცხოვრება! - დამცინავად ამბობს ნიკოლოზი და მაიკოს მიუჯდება, სურს უკვე მის ალერსზე გადაერთოს, მაიკო ხვდება და ისევ საუბრის შენარჩუნებას ცდილობს:

-ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმით, თქვენო ბრწინვალებაც. განა თქვენი ბებია, დიდი ეკატერინე ძლიერი პოლიტიკოსი და დედოფალი არ იყო? ან ჩვენი მეფე თამარი.. თქვენი მეუღლეც ხომ კარგი სტრატეგია?

- ეგ მართალია.. ჩემი მარიაც ხან ისეთ სწორ რჩევას მომცემს, ისე მომარბილებს და მომთაფლავს, ისე დამტყუებს თანხმობას, რომ როცა მივხვდები, რა ჩამადენინა, უკვე გვიანია.. საიდუმლოდ გაგიმხელთ, თავადის ქალო, რომ ბატონყმობის რეფორმა, წელან რომ ვახსენე და მათი განათლების საქმეც თითქმის მარია ფიოდოროვნას დამსახურებაა, მან მოიფიქრა.. დიახ, დიახ.. - ილიმის, მიესვენება სავარძლის ზურგს, იყურება სივრცეში, თითქოს ცოლს იხსენებს..

მაიკო ატყობს, რომ ვნებები დაცხრა, დაღლილია, ცოლზე საუბრით სარგებლობს და შეაპარებს

- დაღლილი იქნებით, თქვენო ბრწინვალებაც, დაგტოვებთ..

იმპერატორი ისევ აღიგზნება

- თქვენ დიდი ცბიერი ქალი ჩანხართ! დავუშვათ, კიდეც დაგიტხოვო, ვინ დაიჯერებს, რომ აქ ისტორიაზე, სამხედრო და სახელმწიფო საქმეებზე ვსაუბრობდით, ჰა? მით უფრო, რომ ასეთი მომხიბლავი და გემრიელი ფორთოხალივით ხართ! მაინც დალუპულია თქვენი სახელი, თავადის ქალო.. ამიტომ, დარჩით..

-თქვენი გადასაწყვეტია, თქვენო ბრწყინვალეზავ, მაგრამ სულერთია, რას იფიქრებენ სხვები. მთავარი ხომ სიმართლეა, სიმართლე რომელიც მე და თქვენ გვეცოდინება, მე ჩემს თავთან და ჩემს სიყვარულთან ვიქნები სუფთა, თქვენ კი - თქვენს თავთან, თქვენს სიყვარულთან- მარია ფიოდორავასთან და თქვენს საიმპერატორო ღირსებასთან - თავს დახრის მაიკო და ისუსება განაჩენის მოლოდინში. ახლა კი უთრთის მხრები. უკვე ეშინია ..

იმპერატორი ჯერ ჩუმდება, ჭიქას მაგიდაზე დებს და შესქერის თავდახრილ გოგოს, მერე მივა, ნიკაპს აუწევს, სახეს ახლოს მიუტანს, დააცქერდება იწყებს სიცილს:

- ოჰ, რა ცბიერი ქალი ხარ, რომ იცოდდე! ჰა-ჰა ჰა... რა ნორჩი და რა ჭკვიანი, თავადის ქალო.. აჰა ჰა.. წარმოდგენელია! ასეთი ნორჩი, რომანტიკული, ქვეყნისა და საქმროს ასე მოყვარული, განსწავლული (ცინიზმით) და ასე ეშმაკი და ცბიერი.. ასეთი ჯერ არაფერი მინახავს, დაუჯერებელია ღმერთმანი, პირდაპირ დაუჯერებელი.. აჰ -ჰა ჰა.. აჰაჰა ჰა ჰა..

ამ სიცილით ქრება შუქი და ეშვება ფარდა.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

2.1 ცოლის და ლევანის სცენა

ლევანი ოთახშია, ისმის მუსიკა, ეზოდან ხმები.. ლევანი მიდის კარადასთან ეტლით, ქვედა უჯრიდან გაჭირვებით ამოაქვს მაიკოს სურათი, ეტლიდან კინაღამ გადმოვარდება. ბოლოს გაიმართება, ამოისუნქებს და დახედავს.. და ამ დროს შემოდის ცოლი, ჯერ გაშრება, სურათს დახედავს, მერე ლევანს, მერე ისევ სურათს, უნდა, წაწვდეს, მაგრამ ლევანი პლედის ქვეშ დაფარავს და ისე მკაცრად შეხედავს, რომ ის უკან იხევს, მაგრამ გაცეცხლდება :

-აი, თურმე რატომ შეიცვალე ეს ბოლო ხანი?? რატომ ამზობ უარს სადილზე, ჩემთან ერთად ბაღში გასეირნებაზე. მოგონებები მოგეძალა? ისევ მაიკო? სულ მაიკო? ყოველთვის მაიკო? ეს ხომ დიდი ხნის წინ იყო, ღმერთო, რით ვერ დამთავრდა, ლევან! ლევან, შემომხედე. ამიხსენი, რა გემართება, რა გჭირს!

ლევანი ჯერ არაფერს პასუხობს, უბრალოდ გახედავს. მერე გამოიღებს ისევ სურათს, ნაზად დახედავს, ეტლით მიგორდება კომოდთან და ზედა უჯრაში ჩადებს.

გამობრუნდება, დადგება და ცოლს ყრუდ პასუხობს

-არაფერი.. უბრალოდ, გიორგობის დღემ ის ნოემბერი გამახსენა.. ტიფლისში დაბრუნებულს რა ამბავიც დამხვდა.. უბრალოდ გამახსენდა.. წარმოვიდგინე იმ პატარა, 19 წლის გოგომ, დაუცველმა, ყველასგან გაწირულმა, იმპერატორის საძინებელში.. ხილივით ლანაგარით

მირთმეულმა, რა გადაიტანა მაშინ!! გამახსენდა და მომინდა, დამეხედა სურათისთვის, მისი სახისთვის.. უბრალოდ მომენატრა, გესმის? -გახედავს ცოლს კუმტად. მერე ხმა აუკანკალდება -არ შეიძლება, ძალიან ახლობელი ადამიანი მოგენატროს? - სახეს ხელებში რგავს.

ცოლი უკან იხევს, ლევანს უყურებს და უცებ ნაზი, მზრუნველი არსებიდან გამწარებულ ქალად იქცევა

- ვიცოდი, ვიცოდი, რომ ყოველთვის იდგა ჩვენ შორის! გაგიგე, გავითავისე შენი ტკივილი, მოგეფერე, მიგიღე, თქვენი შვილი მივიღე, საკუთარივით გავზარდე, მთელი ცხოვრება შემოგწირე, ყველაფერი ვაკეთე შენთვის, რომ ის სამუდამოდ დაგეტოვებინა წარსულში და არა! არა... ის გყვარებია მაინც და მე კი მეფიცებოდი.. ღმერთო. ღმერთო, ლევან, დავბერდი და ახლა ვხდები, რომ მთელი ცხოვრება ტყუილში გავატარე! რომ შენ.. შენ უბრალოდ გამომიყენე?! - პირზე იფარებს ხელებს. შემდეგ ჩამოუვარდება და წყნარად აგრძელებს:

- მე, მამაჩემის ოჯახი, ყველა გამოგვიყენე რომ გაგეგრძელებინდა შენი საქმეები, გაგეზარდა შვილი და უბრალოდ, როგორმე გეცხოვრა მაიკოს მერე.. ასეა?

-რას ამბობ, რატომ..სანდრა, ასე როგორ შეიძლება .. ის ხომ შენამდე იყო, შენამდე მიყვარდა გაგიყვებით... მერე უბრალოდ გაქრა, დადნა, დაიღია და გაქრა, გესმის?... დარდისგან, ტკივილისგან შეიჭმუხნა, გამოიფიტა და გაქრა!! რა უნდა მექნა? თავი მომეკლა მეც? იქნებ ასეც მომხდარიყო, ისეთი მწარე იყო დანაშაულის განცდა, ისეთი გაუსაძლისი იყო ტკივილი.. ათას ნაწილად დამფლითა... მაგრამ ივანე... ივანე მყავდა გასაზრდელი... პირობა მქონდა მიცემული და თან... თან სული ტკბილია, სანდრა... სიცოცხლე ხომ უნდა გამეგრძელებინა.. და ამიტომ, უბრალოდ ჩავდე მისი სურათი ღრმად, შორს, უჯრაში და ვეცადე, დამევიწყებინა, აღარ მეფიქრა, მომეკვეთა, ახალი ცხოვრება დამეწყო.. ვითომ არც ყოფილა მანამდე. სხვაგვარად უბრალოდ შევიშლებოდი.. ამიტომ, შენთან ცამდე მართალი ვარ, ძვირფასო.. შენთან მე მისგან გათავისუფლებული მოვედი. განა არ გახსოვს, რა სინაზით, რა სიყვარულით შევექმენით ოჯახი, როგორ გიყვარდა ჩემი ივანე, მერე პირველ ვაჟსაც კი ასე დავარქვით....როგორ გავზრდეთ ჩვენი გიორგი, პეტრე, ნიკოლოზი... რამდენი სიხარული და ტკივილი გამოვიარეთ ერთად, რამდენი საოცარი წელი, რამდენი რამ გვაკავშირებს, სანდრა!

ცოლი ჯერ გაშეშებული დგას და უსმენს, მერე თავს ხრის, მხრები ჩამოუვარდება, სახეზე ხელებს იფარებს:

-არ ვიცი.. არ ვიცი, ლევან... დავიბენი.. ჩვენ მართლა დიდი, ტკბილი, ლამაზი და ძლიერი ოჯახი გვაქვს, მოყვარული, რჩეული შვილები, ანგელოზივით შვილიშვილი...შენი სამსახური, მიღწევები, წარმატებები . დღევანდელივით მახსოვს, გადრეული რომ მოვარდი სახლში, როცა კავკასიის მთავარმმართველის მოადგილედ დაგნიშნეს! და რა წერილი აფრინე სახლში, სახლემწიფო საბჭოს წევრი რომ გახდი?? გახსოვს, ლევან? ღმერთო, რა სუფრა გაიშალა, რა საზოგადოება შეიკრიბა, რა სიმღრა და ცეკვა იყო ჩვენს სახლში!.. ეს ყველაფერი ხომ ერთად გაივარეთ... ერთად! მე ხომ ჭირსა და ლხინში, სულ შენ გვერდით ვიყავი, მე გეხმარებოდი, გითანაგრძნობდი, გისმენდი, შენს გეგმებს, საქმეებს, აზრებს ვიზიარებდი, ვიტანდი უშენობას, სიმორეს, გიზრდიდი შვილებს.. ოთხი ვაჟკაცი გაგიჩინე!! ღმერთო, როგორ ვხარობდი შენი წარმატებებით, იქ ვჩნდებოდი, სადაც დამიძახებდი, როცა დამიძახებდი... შეუძლებელს ვაკეთებდი შენთვის - უხმაუროდ, მოთმინებით, შენს

მოსაწონად, შენი შეწუხების გარეშე.. ღმერთო, რამდენი, რამდენჯერ გამომითხოვია შენ გამო, რამდენი ამბავი გამიგია, დამიდგენია, მომიბრუნებია საშენოდ, შენთვის.. არ ვიცი, არ ვიცი, ლევან.. რატომ... რატომ ვერ შემეყვარე მაინც..

-ღმერთო .. არ გინდა, გთხოვ, ცუდად მხდის ასეთი რამეები, არ შემეძლია ამ უსამართლობის ატანა, სანდრა! მე შენს ამაგს უზომოდ ვაფასებ, ყველაფერი მახსოვს, ყოველი დღე და წუთი, ყველაფრისთვის შენი ისეთი მადლიერი ვარ..

-არა! არ მინდა მადლიერება და დაფასება!- შეპყვირებს და აწყვეტინებს ცოლი

- მე სიყვარული მინდოდა შენი.. შენ კი რატომ შემირთე, ლევან? იმიტომ, რომ რომ ის მოკვდა, იმიტომ რომ ტკივილის დავიწყება და თავშესაფარი გინდოდა, ცხოვრების ახლიდან დაწყება, საქმეში გადავარდნა დარდის გასაქარვებლად, იმიტომ რომ ივანე უნდა გაგეზარდა, ღირსეული და შეძლებული ოჯახის ქალიშვილი უნდა მოგეყვანა, და არა მასავით ობოლი და ღარიბი, ისეთი, ვინც მოგივლიდა, იზრუნებდა, გვერდში დაგიდგებოდა, მეგზურობას ღირსეულად გაგიწევდა, ეყვარებოდი..

-და ვინც ლამაზი იქნებოდა, უღვთოდ ლამაზი.. -აწყვეტინებს ლევანი და მისკენ მიგორავს ეტლით, ხელებს უწვდის, ცდილობს დაამშვიდოს ცოლი, სხვა მხარეზე გადართოს.

-არ გინდა, ლევან.. არა -გაიწევა სანდრა

-კარგი, რა, ჩემო ალექსანდრა, მოდი ჩემთან, მოდი. აბა, სურათის ერთმა დახედვამ ასე როგორ გაგაწიწმატა! შენისთანა სათნო და დარბაისელ ქალს ეგ შეპყვირის? გიყურებ და ვერ მიცვნიხარ... ამდენი წელია, ერთად ვართ და ასე განრისხებული, წყობიდან გამოსული არასდროს მინახიხარ, არასდროს.. მოვრჩეთ ამ საუბარს.. მოდი

სანდრა თითქოს მართალა მშვიდდება, მაგრამ არც ასრულებს საუბარს და არც ლევანთან მიდის. ჩამოჯდება იქვე, სკამზე და ხმამაღლა მსჯელობს:

-მაშ, რა გამოდის, ადამიანს ცხოვრებაში რამდენჯერმე შეიძლება შეუყვარდეს?

-რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემო სანდრა.. ყოველი სიყვარული სხვადასხვაა რაღაცით, მაგრამ გულწრფელი სიყვარულია..

-ასე... ასე მეგონა მეც აქამდე... მაგრამ ახლა ზუსტად ვიცი...ჭეშმარიტად მხოლოდ ერთხელ უყვარდებათ, ერთხელ! ხიბლს, მიჩვევას, მადლიერებას, თანადგომას, პასუხისმგებლობას, ზრუნვას და ათას სხვა რამეს არ ვგულისხმობ... არა, ამ ყველაფერს თავის სახელი აქვს და რატომ ეძახიან სიყვარულს.. რატომ ერევათ მასში? ან იქნებ, სულაც არც არსებობს ამათ გარდა სხვა გრძნობები, სინამდვილეში ამ ყველაფერს ერთად უწოდებენ სიყვარულს და ის კი ეფემერაა, ადამიანის ოცნება, წარმოსახვა.. ან თუ არსებობს, ისე სუსტია, ისე საცოდავი, რომ ყველაფერი, ყველაფერი ეს - ხიბლი, მიჩვევა, მადლიერება, ამაგიც, მხარდაჭერაც, ურთიერთგაგებაც- ყველაფერი უფრო მეტი და ძლიერია მასზე!!

-არ გინდა, სანდრა, რა დაგემართა. მართლა ვერ გცნობ.. ნუ ართულებ. ნუ აშლი ისევ ძველს, გთხოვ! ამაზე ხომ გვისაუბრია, ვიდრე შევუღლდებოდით.. მაშინ ხომ ისე მოკლედ და მარტივად გავიარეთ ეს თემა? შენ ხომ ისე გიყვარდი და გასურდი! შენ ხომ მიმიღე ისეთი, როგორც ვიყავი, იმ გრძნობებით და წარსულით, რაც გამაჩნდა.. არ გინდა ახლა გართულება

და ჩამარხულის ისევ ამოთხრა.... ისედაც არ ვგრნობ თავს კარგად, გთხოვ, შევწყვიტოთ.. ხომ იცი, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და გაფასებ!

-ღმერთო, ღმერთო ისევ დაფასება, მე სიყვარულზე გესაუბრები, გესმის? მაიკო რომ გიყვარდა, ისეთ სიყვარულზე - სულთა კავშირზე, ერთობაზე, მარადიულზე, აი, ახლაც რომ არ გავიწყდება და სიკვდილს მიღმაც რომ შეიგრძნობ, ესაუბრები.. რა გგონია, ლევან, მართლა დღეს მივხვდი ყველაფერს და ამ სიბერეში გადავირიე?... ჩემდამი შენი მუდმივი ზრუნვის, პატივის მიღმა მაინც ყოველთვის ვგრძნობდი რაღაც მთავარის, არსებობის ნაკლებობას.. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მასავით ვერ აღმიქვამდი, ხშირად მაინც მასთან იყავი... ქალები მუდამ შევიგრძნობთ სხვა ქალის ყოფნას საყვარელი მამაკაცის ცხოვრებაში... და თუ მართლა მეც გიყვარვარ, მაშინ უბრალოდ ვეღარ ვიგებ, შეიძლება ერთდროულად ორი ქალი უყვარდეს კაცს?

გახედავს ლევანს. ლევანი თვალს მოარიდებს, პასუხს არ ჩქარობს

-ან არც ერთი! მაშინ არცერთი არ გიყვარდით, ხომ ასეა? - თუკი გიყვარდა, რატომ, რატომ არ მოიყვანე მაშინ ცოლად? სიღარიბის, სირცხვილის თუ შენი წარმატების წყურვილის გამო? საყვარელ ქალს ხომ ცოლობა უნდა შესთავაზოს ღირსეულმა კაცმა, განა ასე არ არის, ლევან?

უცებ მიხვდება, თითქოს რაღაცას და შეცბუნებული გახედავს:

ღმერთო, ლევან! გამოდის, შენი თავის გარდა არავინ გიყვარდა? თუ გამოდის, სიყვარული არც არსებულა და სულ სხვა გრძნობებს ვარქმევთ სიყვარულს...

- რას ამბობ, სანდრა.. არსებობს.. რა თქმა უნდა არსებობს და მერე როგორ... თუ აჰყვები, სულ თავის ჭკუაზე გატრიალებს, თავის თავზე დამოკიდებულს გხდის, გასუსტებს, ძალას გაცლის, გერევა, გძალავს, გაზარმაცებს, საკუთარ მიზნებზე უარს გათქმევენებს, ყველაფერს გაკარგვინებს... და მერე გაბოროტებს, იმ საყვარელ არსებას შეგაჯავრებს, რომლის გამოც ვერ მიაღწიე საწადელს, უარი თქვი ოცნებებზე, რომლის გამოც მსხვერპლად მოიტანე ყველაფერი კაცი თუ სიყვარულს ბოლომდე აჰყვა, შეიძლება... შეიძლება უფსკრულში გადაჩეხოს..

სანდრა გაოგნებული უსმენს

-ღმერთო, ლევან.. რას ამბობ.. მაშ, გიყვარდა, მაგრამ... მაგრამ, ამიტომ არ შესთავაზე ცოლობა? ღმერთო, რა საშინელებაა, რა ეგოიზიმია, რა შიშია!! საკუთარ დამოკიდებულებას შესწირე სხვისი გრძნობა, სახელი, სიყვარული, სიცოცხლე მსხვერპლად? მას რა სურდა, არ იყო მნიშვნელოვანი?? ასე მგონია ახლა, რომ შენ მაიკოც არ გიყვარდა, ვერაფერი დათმე მის გამო, ვერაფერი! როცა რაღაცას მიაღწიე, მაშინაც კი არ შესთავაზე ცოლობა, უღირსი ქალივით მოექცე, რადგან ... - სანდრა ხელს იფარებს პირზე, უკან დაიხევს:

-ღმერთო, შენც სხვასავით ქორწინების გარეშე შეუერთდი, ისარგებლე მისი სიყვარულით, შვილიც ჯვრისწერის გარეშე გააჩენინე.. ვინ ხარ, შენ, თავადო ლევან?!

-სანდრა! რას ამბობ, რას ამბობ, არც იცი!! შეწყვიტე, გთხოვ!! უგონოდ მიყვარდა მაიკო, გესმის? მიყვარდა, მაგრამ ჩემს თავს და სურვილებს ვერ მოვერიე, ხო.. მის გამო ყველაფერი ვერ დავთმე, მისი მოყვანა მაშინ თავმოყვარეობის შელახვად მივიჩნიე, ცოტა ხნით გადავავადე და მერე ეს მოხდა... ეს დაუჯერებელი სიგიჟე - მისი სახელის და ღირსების

შელახვა.. ვინ იფიქრებდა, ვინ დაუშვებდა.. მან საკუთარი თავი გაწირა და რა მიიღო საპასუხოდ? ვინ დარჩა მადლიერი? როგორ აიტანდა ამდენ დარდსა და ტკივილს? ამიტომ გახდა ავად, მაგრამ... მე არ მიმიტოვებია, ხომ იცი ეს! დიახ, ვიყავი მასთან, სულით, სხეულით! შვილიც კი გვეყოლა... ჰო.. მერე რა? ჩვენ ხომ სინამდვილეში ერთნი ვიყავით, ერთად, ნამდვილი ოჯახვით!. ვთხოვე, ვთხოვე ცოლობა, როგორ არა.. და უარი მითხრა.. ასე არ იყო, სანდრა, როგორც იფიქრე, არა.... მე მას ვთხოვე! გეფიცები -ლევანი თავს ჩარგავს ხელისგულლებში, ტირის -ვთხოვე!!...

სანდრა გაკვირვებული გახედავს ლევანს, ეჭვით, ინტერესით..

-მართლა?- ყრუდ იკითხავს

ლევანი ტირის, მერე ხელებს ჩამოწევს. გაშეშებული სახე აქვს. თავს ჩაქინდრავს და იქნევს

- მართლა...

სანდრა გადის და მარტო დარჩენილი ლევანის ქვითინი ისმის ყრუდ..

2.2

ლევანს უკან, მელოდიის ფონზე ჩანს სცენები წარსულიდან: ახალგაზრდა ლევანის შემოვარდნა, თავადებთან მიჭრა, მათზე გაწევა, გაშველება, გამოყვანა, მერე ტატოსთან მიჭრა, მისი შეჯანჯღარება, ტატოსგან დაყვავება, ახსნა, ლევანის ნირწამხდარი ჩამოხეთქება სკამზე, ტატოს თანაგრძნობა, გადახვევა..მერ მისვლა მაკოს სახლთან, უარი მიღებაზე, რამდენჯერმე მისვლა, დაკაკუნება, ქვემოდან დაძახება და ბოლოს -მაიკოს სახლის კარის გაღება..

მოქმედება წინა პლანზე გადმოდის, მოხუცი ლევანი სცენის კუთხეში რჩება სიბნელეში, შუქი იჭერს წყვილს: შეხვედრის ჩახუტება, გავლა, ჩამოჯდომა, საუბარი, მოალერსება, ლევანი გასვლა, მაიკოს ლოცვა სანთელთან, ისევ შემოსვლა თაიგულით, ისევ ალერსი და ლოგინის სცენა - სიბნელეში ისმის მაიკოს ცრემლიანი ხმა- ლევან, ჩემო ძვირფასო, საყვარელო, სანატრელო ლევან... და ლევანის ხმა:

- მაიკო, მხოლოდ ჩემო მაიკო, ჩემო უიღბლო მაიკო!! (ანუ ისევ გაუგებარი რჩება, რა მოხდა მაშინ-მაყურებელმა რომ ისე იგულისხმოს, როგორც სურს)

ისმის მუსიკა, ცეკვა, რომელიც გამოხატავს გაგრძელებულ ურთიერთობას -ლევანი ხან ხელში ატარებს, ხან სეირნობენ, ხან ცეკვავენ, ხან ლევანის მხარზე თავი აქვს ჩამოდებული თავი მაიკოს, მერე ისევ დგანან, ნელა ტრიალებენ და ერთ-ერთ ბრუნზე მათ შორის უცებ პატარა ბიჭი ჩნდება, ახლა მასთან ერთად ერთად ტრიალებენ სწრაფად და ხალისით, ბავშვი ციცინის, მაიკო კისკისებს მუსიკა იმატებს და უცებ ძლიერი აკორდით წყდება მაიკოს ჩაკეცვასთან ერთად. შუქი ქრება..

2.3

ისევ უსიტყვო სცენები -მაიკოს ჭლექი და მკურნალობა : ხველა, ლოგინი, ეზო, ისევ ლოგინი, ისევ ხველა, სეზონების ცვლის ჩვენებით, ლევანის ზრუნვა - ა)ხონჩების მოტანა, მსახურთან გასაუბრება, გამოკვების მცდელობა, მაიკოს სისუსტე, უარი, ლევანის წასვლა ..ბ)მაიკოს გამომჯობინება, წამოჯდომა, ბავშვთან ერთად- წიგნით, ლევანის დაბრუნება, შეხვედრა,

საუბარი, ალერსი, ბანქოს თამაში, ბავშვის გაყვანა, გ)მისვლა, მოფერება, გამგზავრება, მაიკო მარტო ოთახში - ხან სადამურით, ხან მოსასხამით, წიგნით, წერილის წერისას, სანთლის შუქზე, მზის სხივებში, თმააკეცილი, თმადაშილი დ) ისევ ლევანის ჩამოსვლა -მისვლა, ექიმთან საუბარი

მოქმედება:

ლევანი და მაიკო ბაღში, ჰაერზე, მაიკო მომჯობინებულია..მაიკო ჰაეროვანია, გამჭვრივალე კაბასა და მანდილში, ულამაზესია, ბალიც საოცარია, ისევ კიდია ის საქანელა.. იცინიან

- აი, უკეთ ხარ უკვე, ჩემო მაიკო. ცოტა ხანში სულ მომჯობინდები და ეს ყველაფერი ცუდი სიზმარით გაგახსენდება, მართლაც ციებასავით გაივლის.. ისევ ისეთი ლამაზი და ყოჩაღი მეყოლები მალე, ძალიან მალე და აი, მაშინ კი წავალთ ტამარში და ჯვარს დავიწერთ!

-მაიკო შეცბება, ხელს გამოართმევს, წამოდგება. ამდენი ხანი ელოდა ამას, ახლა გაიგო ძლივს ..მაგრამ, სიხარულის ნაცვლად უცბად მოიბუზება, მხრებს ჩამოყრის, ცრემლები წამოუვა. მერე ისევ ძალას მოიკერებს, გაიმართება და მტკიცედ იტყვის

-არა, არა, ლევან!

ლევანი გაოგნებულია, წამოხტება, მივა, ხელს მოხვევს

-რას ამბობ, მაიკო, შენ ხომ ეს ასე ძალიან გსურდა! და ჩვენ უკვე ისედაც ერთნი ვართ! შვილიც გყავს, ოჯახი ვართ! მაიკო!

-კი, მსურდა. ღმერთო, როგორ მსურდა მაშინ. სიცოცხლეზე მეტად! მაგრამ, ახლა.. ახლა არა ლევან, არა..

მაიკო თავს იქნევს და გაეცლება. ლევანი გაოგნებული რჩება მარტო..სცენა ბნელდება და განათებულზე ლევანი უკვე სასთუმალთანაა (სეზონი შეცვლილია)

ამ დროს ისევ სთხოვს ლევანი ცოლობას..

- მაიკო, ჩემო მაიკო, ჩემო ვარდო, რა გავაკეთო შენთვის. გთხოვ, მითხარი, რიდ გიშველო, რით დაგეხმარო? მოდი, ჯვარი დავიწერთ, ახლა დავიწერთ ჯვარი! ახლავე წავალ და აქ მოვიყვან მღვდელს..

-მართალია, იმქვეყნად რომ ვიყოთ მერე ერთად)) -ილიმის მაიკო

- ჰო, მაიკო, ერთად, სამუდამოდ ერთად.. ახლავე გავიქცევი - მაიკო აჩერებს წამომხტარ ლევანს

-არა, შეჩერდი, გაგეხუმრე, არა! მინდოდა, ძალიან მინდოდა, ლევან. სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ ერთი დღე მაინც ვყოფილიყავი შენი მეუღლე.. ერთი დღით მაინც მრქმეოდა შენი თანამეცხედრე, შენი უბრალო და საზეიმო დღეების ნაწილი, შენი მეგზური.. ხომ გახსოვს, როგორ გეხვწებოდი და რაკი მაშინ არა, მერე...იმ ყველაფრის მერე როგორღა? თუკი მაინ არ ჩამთვალე შენი ცოლობის ღირსად,მერე მე როგორ ჩავთვლიდი თავს შენი ცოლობის ღირსად? და ახლა, როცა ასე ავად ვარ და მალე მოვკვდები, არა, ლევან, ახლა აღარ ღირს.. არა... სჯობს, თავისუფალი დარჩე, ვიდრე ქვრივი)) ჩემი სიყვარული ყველა სხვა

სურვილზე მაღლა იდგა მუდამ, შენი სურვილები იყო მუდამ მთავარი.. ჩემთვის შენი სურვილის უზენაესობა არსებობდა მხოლოდ! შენ კი, რა გსურდა, ლევან? წინსვლა, წარმატება, დიდება, სახელი, ღირსება, თავისუფლება, სიგიჟე! მე სულ გისმენდი, ლევან და შენ - არასდროს. ისე ვკვდები, ვერც გამიცანი მაინც ბოლომდე)) ისიც კი არ იცი, რა მიყვარს და რა - არა, რას ვფიქრობ, როგორ, რაზე ვოცნებობ.. მაგრამ მე სწორედ ასეთი მიყვარხარ და ეს სრულიად საკმარისია. იმაზე მეტიც, ვიდრე მწირდება და სემიზლია იქ წავიღო.. -იღიმის

-რას ამბობ, მაიკო, მე თუ არა, სხვა ვინ გიცნობს.. ყმაწვილობიდან ერთად ვაიყავით სულ..

-ეექვ, ლევან. ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო მტანჯველო ლევან.. -ლოყაზე ეფერება, მერე ბოლო ძალას მოიკრებს:

-მთავარია, ისეთი ქალი მოიყვანო, ლევან, რომ შვილი არ დამიჩაგროს. ზღაპრებივით ავ დედანაცვლად არ ექცეს, გესმის?. თუ ვერ შეიყვარებს, ჩემებმა გაზარდონ, გთხოვ. დამპირდი, რომ მიხედავ.. გახსოვს, გეხუმრე, ხეიბარს სხვა ორბელიანის ქალმა მოგხედოს თქო და აგე, როგორ ცუდად შემომიბრუნდა, თავად დავჭლექიანდი და დავხეიბრდი.. თავად გავხდი შენი მოსავლელი.. მაპატიე, რომ ამდენი წელი ასე გაწვალე.. მაღლობა, რომ არ მიმატოვე.. რომ ჩემ გვერდით იყავი, ძვირფასო... მეგობრობის თუ ვალდებულების, სინანულის თუ მიჩვევის, სიბრალულის თუ სიყვარულის გამო, ახლა სულერთია. მთავარია, ჩემთან იყავი და გამაძლებინე.. მაცოცხლე .. აქამდე მომატანინე სული, წამოჩიტული ჩვენი ვაჟი მომასწარი, რომ ასე საინტერესო და მშვენიერი იყო მაინც ჩვენი საბრალო, უცნაური, დაჩაგრული და გაღანძღული სიყვარული, ლევან.. -ხმა ეკარგება, საუბრობს, მაგრამ ვერ ამოტვამს სიტყვებს. ჩერდება, სახსოვრად აძლევს თავის მანდილს, ლევანი ართმევს, ამ დროს ხველა აუტყდება, სისხლის წვეთი მანდილს ხვდება, ლევანი არც აქცევს ყურადღებას, უბეში იკუჭავს საჩქაროდ, მაიკოს ეხმარება ამოხველებაში, მსახურს ეძახის, ის მორბის პირს მოზანწ, წამალს ასმევს, ეს ცოტას ამსვიდებს. მაიკო ისევ მიწვება დიდ ტეთრ ბალიშებზე.

ლევანი ტირის, ხელს უკოცნის საწოლთან დაჩოქილი

-მაიკო, ჩემო მაიკო... მაპატიე.. ყველაფერი მაპატიე..

-შენც მაპატიე, ლევან.. არ იდარდო.. ძალიან დავიღალე.. მართლა.. შვება იქნება ჩემთვის წასვლა.. დასვენება მინდა... ძილი მინდა, ლევან.. ღრმა და ტკბილი ძილი.. წადი, წადი ახლა, გთხოვ და .. (პაუზა, უჭირს სუნთქვა და საუბარი) და ხო, მოიყვანე მოძღვარი.. დროა.. მოიყვანე..

ლევანი გაგიჟებით უკოცნის ხელებს, ეფერება, ტირის, მსახური შემორბის, მაიკოსკენ იხრება, ლევანი წამოხტება, თავში წაივლებს ხელებს და ოთახიდან გავარდება.

2. 4

ლევანს აივანზე ჩაეძინება - ვერ პოულობს ცოლი ოთახში.

ისარგებლებს ამით, მიდის კომოდთან, ამოიღებს მაიკოს სურათს, დასქერის, განიცდის:

-რატომ, რატომ ვერ ამოიშალა გულიდან, რატომ? რომ არ მომკვდარიყო, მასთან იქნებოდა, მასთან! მე არც არასდროს შემიერთავდა.. არასდროს! მე კი, ღმერთო, როგორ მიყვარდა, როგორ მსურდა, როგორ მჭირდებოდა.. როგორ მჯეროდა მისი.. მატყუარა!

დაახეთქებს სურათს, მინა ტყდება და იქიდან აღდგება მაიკოს ლანდი

ალექსანდრა უკან დაიხევს, შეეშინდება

მაიკოს ლანდი ამშვიდებს, ხელს „ ადებს“ მხარზე ჰაერში

-არასდროს ვუყვარდი. ეს ზმანება იყო, ოცნება, ეფემერა..

სანდრა შეცბება, მიეხეთქება კომოდს, ჯერ შეეშინდება, მერე წინ წაიწევს, ხელსაც კი გაიწვდის. მაიკო მშვიდად დგას თეთრებში და უღიმის. შიში უკან იხევს

-როგორ? რა ნიშნავს, არ უყვარდი? მაშ რა იყო მთელი ის გიჟური, ტკივილიანი ურთიერთობა? წარმოსახვა? მოჩვენება? არ არსებობდი?

- ვარსებობდი. ვარსებობდი მე, არსებობდა ლევანი და ვარსებობდით ჩვენც - მე და ის! ვარსებობდით! მაგრამ მას ბავშვობიდან შეჩვეული მეგობრობა, თანაგრძნობა, შეჩვევა აერია სიყვარულში... ამიტომ გამეცალა და რომ არა ჩემი ავი ბედისწერა-შერცხვენა, ავადმყოფობა, ტკივილი, არ დაბრუნდებოდა. არასდროს.. იმთავითვე არ ჩამთვალა თავის ცოლობის ღირსად და როცა მთხოვა, მხოლოდ იმიტომ, რომ შევებრალე, იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა ჩემთან.. იმიტომ, რომ მისი შვილის დედა გავხდი. იმიტომ, რომ ძველი სითბო, მოგონებები, ურთიერთგაგება, პატივისცემა და ერთობა გვაკავშირებდა.. ამიტომ ვუთხარი უარი .. მე სიბრაღული ან პასუხისმგებლობა კი არა, სიყვარული მჭირდებოდა მისგან.. ნამდვილი, უსასრულო, ყოველდღიური სიყვარული..

-მას შენ უყვარდი, მაიკო.. დღემდე შენ უყვარხარ!

-შეიძლება. თავისებურად... ჩვენ სულიერი მეგობრები ვიყავით და სულისცალთან ერთად სრულქმნის მიწიერი გზა როგორღაც გავიარეთ, ღმერთამდე კი, მაინც ვერ მივალწიეთ ერთად.. რადგან მარადიულ სრულყოფას მხოლოდ უფალთან ვაღწევთ.. შეიძლება, ვუყვარდი.. მაგრამ არა ისე, როგორ შენ!

-და სწორედ ეგ სიყვარულია ნამდვილი... გულთა კავშირია მთავარი, და არა საერთო სახლი, შვილები, საქმე, ყოფა.. სწორედ ეს სულიერი ერთობა მსურდა მეც მისგან, ეს მსურდა, მაგრამ... არა, შენთან, მხოლოდ შენთან გრძნობდა ამას...

-ვინც მართლა უყვართ, იმ ქალს თავიდანვე ცხოვრების მეგზურობას სთავაზობენ, მუდამ ერთად ყოფნას, მათ გარეშე ვერ ძლებენ, ვერ სუნთქავენ, ვერ ცოცხლობენ, იგუდებიან... ისე, როგორც მე ვიხრჩობოდი ლევანის გარეშე.. მან კი ეს არ ისურვა..თუ ვერ გაბედა.. მხოლოდ მერე, მერ, როცა ძალიან გვიანი იყო..

ურთიერთობის მუდმივი მოთხოვნილებაა სიყვარული, ალექსანდრა, უერთმანეთოდ ვერგაძლებაა სიყვარული..

სწორედ ეს აკავშირებს შენთან, მას შენ უყვარხარ. შენ უყვარდი, შენ ჩავთვალა თავის დედოფლად, ღირსად მისი ყოველდღიურობისა და დღესასწაულების მონაწილე ყოფილიყავი, მასთან ერთად - ჭირსა და ლხინში, მთელი ცხოვრება... ეს მე ვარ მისგან მიტოვებული და უარყოფილი.. შენ კი მისი რჩეული ხარ! შენ ის გაქვს მასთან, რაც მე არასდროს მქონია- ყოველდღიურობა და ოჯახი.

-და განა ეგაა მთავარი? ოჯახი ბევრს აქვს, მაგრამ სიყვარული, ერთობის სიხარული და ბედნიერება -ცოტას

- სწორედ ოჯახი და ყოველდღიურობა ადუღაბებს ნამდვილ სიყვარულს, არანამდვილს კი - ანადგურებს, ნამცეცებად შლის.... ყოფაშია ბედნიერება...

მაიკო ბრუნდება, მიდის და ქრება

ცოლი რომ გამოერკვევა, ამ დროს ივანე შემოდის, დედა რა გჭირს, რა მოხდა აქ, ხელი გაგეჭრა? რა ნამსხვრევებია, მამა სადაა...ახალა დაინახავს სისხლს ხელზე, წამოდგება, არ ვიცი, ოთახში არაა? აივანზე? ნახე, წადი, ჩქარა, ნახე! ვაჟი გარბის, ეს ნელ-ნალ დგება და უცებ მანდილს მოკრავს თვალს. მანდილით ხელში შეშდება. წამით შეშდება..მანდილზე სისხლი კვალი რჩება..

2.5

შვილს ლევანი შემოყავს, ეძახის, ცდილობს გამოაფხიზლოს და უკან გახტება

- დედა. დედა, დედააა.. ჩქარა, დედა, მგონი..

ცოლი ნელა უახლოვდება, ხელს დაადებს და ცივად მოშორდება, გახედავს მაიკოს კვალს და იტყვის:

ჰმ.. მომატყუა...

შვილის გაკვირვებით შეხედავს

-ვინ მოგატყუა, დედა..

-მოვიდა და წაიყვანა, მაინც წაიყვანა.. მაინც წამართვა.. მაინც ის არჩია..

-რას ამბობ დედა, მამა აღარ არის, მამა მოკვდა!

ბავშვი შემორბის, ბაბუ, ბაბუ, ნახე რა ვიპივე..

მიირბენს, ბებო აჩერებს.

- ბაბუ აღარ არის

- როგორ აღარ არის? აგე, ბაბუ-ეცინება ბიჭს და ხელს იშვერს მოხუცისკენ

-არა, ეს ბაბუ აღარაა. ეს მხოლოდ მისი სხეულია და მისი სული კი -გაფრინდა, აი, იქ-სანდრა ზემოთ იცქირება

-სად გაფრინდა, ბებო - ბავშვი ხან ბებოს უცქერს, ხან ბაბუს, ხან მამას, ხან ისიც ზემოთ ცდილობს რაიმეს დანახვას

- მე შენი ბებო არ ვარ

- რას ამბობ, აბა ვინ არის ჩემი ბებო?? - თან ეღიმება და თან ეტირება ბავშვს

- შენი ბებო მაიკოა.

- მაიკო? მაიკო ვინ არის?

შვილი: არ გინდათ, დედა...

- მე არ ვარ შენი დედა.. უნდა იცოდეს.

ივანეს სანდრას შეჩერება უნდა, მაგრამ მერე აცლის, ძალა არ აქვს, მამასთან იმუხლებს და თავს ადებს მუხლებზე, მხრები უთრთის, ტირის..

-შენი ბებო იყო ლამაზი, ძალიან ლამაზი, ჭკვიანი და სათნო ქალი, რომელიც ბაბუს ძალიან უყვარდა. მერე ბებოს არ გაუმართლა.. ავად გახდა, ძალიან ავად და ამან მთელი მისი ცხოვრება შეცვალა. ყველაფერი შეცვლა. ასეთი ძლიერია მოურჩენელი სენის ძალა.. ბატონობს, ყველაფერს თავის ნებაზე წარმართავს... მაგრამ, სიკვდილამდე, ბაბუსთან ერთად იყო ერთსულ და ერთხორც. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, შენი მამიკოც გაუჩნდათ, მაგრამ მაიკო სენმა დაძლია. ღმერთს შეეცოდა და ცაში წაიყვანა, როგორც ანგელოზი...მერე ბაბუმ მე მომიყვანა ცოლად და შენი მამიკო ჩვენ ერთად გავზარდეთ..

-ერთსულ და ერთხორც? -თვალეებს ჭუტავს პატარა - ესე იგი, ბაბუს ნეკნი მაიკო იყო? შენ არა? -სანდრა იბნევეა, ვერ იგებს..

- აი, როგორც ადამი და ევა..-უხსნის ბავშვი

ბებოს ელიმება

- კი, კი.. როგორც ადამი და ევა ..

- რა კარგია.. რა კარგია ბებო!-წამოიყვირებს უცებ ბავშვი

- რატომ არის კარგი...

- თუ ბაბუს ნეკნი მაიკო იყო და შენ მაინც იყავი მისი ცოლი, მაშინ მეც შემიძლია, ელისაბედი მოვიყვანო! ისიც ხომ არ არის ჩემი ნეკნისგან! არ მინდა ნეკნის გოგო ცოლად! მე ჩემი ელისაბედი მინდა!

ბებოს ეცინება, ეფერება ბავშვს და ეხუტება. ბავშვი ხელში სინჯავს მანდილს - რბილია, ლოყაზე იდებს, ბებო უწვდის:

-ეს შენი ბებოს მანდილია, შენი იყოს - ბავშვს უხარია, გამოართმევს.

- რა ლამაზია, რა კარგია, ბებოო..ჰაერივითაა, მსუბუქი და სუფთა! ელისაბედს რომ ვაჩუქო, ხომ შეიძლება?? ბებო უღიმის, თავს უქნევს

ბავშვი ისევ ბაბუს შეხედავს

-ბაბუს სული მართლა ზეცაშია, ღმერთთან?

ბებო თავს უქნებს მრავალმნიშვნელოვანი სახით - ღიმილით და ტკივილით ერთდროულად:

-კი, მართლა

ბავშვი ბებოს კოცნის, ჯერ ბაბუს შეხედავს, მერე მანდილს დახედავს, მერე ზემოთ აიხედავს:

- რა კარგია, ბაბუს უყვარდა ღმერთი, ახლა შეხვდებიან და სულ ერთად იქნებიან, ბაბუ და ღმერთი

- და მაიკო- ამბობს ბებო

და მაიკო-იმეორებს ბიჭი, უქნევს მანდილს - ბაბუ, მაიკო, მაიკო..

და გარბის მანდილის ქნევით.. მისი ხმა ექოსავით ისმის ბოლომდე, ვიდრე მუსიკა არ გადაფარავს..

ცოლი კი ერთს ჩაისუნთქვას, თავს გაიქნევს, გადახედავს ლევანს, რომელთანაც შვილია ჩაჩოქილი და გადის...

სცენა ბნელდება და უკანა პლანზე, ისევ ცეკვავენ ლევანი და მაიკო - ახალგაზრდები, როგორც პირველ სცენაში.

დასასრული

ფარდა